

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი

12-13.12.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;

ლილი ბიბილაშვილი - შპს HR პროფესიონალთა გილდიას პრეზიდენტი;

დავით კიკალავიშვილი - იურიდიული ფირმა „VBAT“-ის მმართველი პარტნიორი;

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლელი ქელბაქიანი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი;

კახაბერ ჯაყული - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. დავით ჩერქეზიშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
2. ირინე დარჩია - შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიონალი;
3. რუსუდან ჩიქოვანი - შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
4. ნინო ჟვანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
5. ზურაბ ჯავახიშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი;
6. დალი ცქიტიშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი;
7. კახაბერ ერაძე - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის რექტორი;
8. შორენა ხუბუნაია - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
9. თამარ გულიაშვილი - შპს სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯიას რექტორი;

- 10.გიორგი მნელაძე - შპს სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯიას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
- 11.თეომურაზ ბაბუნაშვილი - შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის პროფესიული, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
- 12.ანა კუჭუხიძე - შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
- 13.თემურ წურწუმია - შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის იურიდიული სამსახურის უფროსი;
- 14.ინგა მანაშერიძე - შპს ინტერბიზნესის აკადემიის რექტორი;
- 15.მერი გაბედავა - შპს ინტერბიზნესის აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
- 16.ნანა სიჭინავა - შპს ინტერბიზნესის აკადემიის იურისტი;
- 17.ვლადიმერ სახელაშვილი - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი;
- 18.მარინე მარინაშვილი - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტები):

ეკა ლუაშვილი ;
თინათინ კუბლაშვილი ;
მაია ხურცილავა ;
ნონა ზუმბაძე ;
თეა ნადირაძე ;
მარინა გედევანიშვილი ;
ციური დურული ;
მაკა კაჭარავა ;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის გამო, სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რევაზ აფხაზავა. თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:37 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

- შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
- შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსსამა, ნანა ჭილლაძემ აღნიშნა, რომ შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა მომხდარიყო მესამე საკითხად, რადგანაც აღნიშნულ დაწესებულებაში მყოფი ექსპერტები სხდომაზე არ იყვნენ გამოცხადებულნი.

საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობები.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

- შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
- შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
- შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.



1. შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა, ლილი ბიბილაშვილმა ისარგებლა მინიჭებული უფლებამოსილებით და განაცხადა თვითაცილება, იგი იყო შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ეკა ლუაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულება ქ. თბილისში, შატილის ქ. №4 ფლობდა 4632 კვ.მ. აქედან სასწავლო ფართი 2664.76 კვ.მ., დამხმარე ფართი 1967.24 კვ.მ. ეკა ლუაშვილის განმარტებით, დაწესებულების მატერიალური რესურსი ავტორიზაციის გავლის შემდეგ გაიზარდა 1600 კვ.მ-ით.

ეკა ლუაშვილმა საბჭოს წარუდგინა ინვენტარის დამატების დინამიკა.

#	ინვენტარის დასახელება	რაოდენობა (ავტორიზაციის მინიჭების -2012 წლის 12 ივლისის მდგომარეობით)	რაოდენობა (საექსპერტო ვიზიტის 30.10.13 - 31.10.13-ის მდგომარეობით)	შე
1.	პროექტორი	4	4	8
2.	საპროექციო ეკრანი	4	4	8
3.	პრინტერი	6	3	9
4.	ნოუთბუქი	4	8	12
5.	სკანერი-პრინტერი- ასლგადამლები (კომპაინი)	1	3	4
6.	წიგნები	1093	508	1601
7.	მაგიდა	58	29	87
8.	მერხი/სასწავლო მაგიდა	320	240	560

9.	სკამი	724	486	1210
10.	კომპიუტერის მაგიდა	34	10	<u>44</u>
11.	დაფა	27	21	<u>48</u>
12.	კომპიუტერი	55	15	<u>70</u>

დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავს 44 აკადემიური პერსონალი, 4 პროფესორი, 22 ასოცირებული-პროფესორი და 22 ასისტენტ-პროფესორი. ეკა ლუაშვილის განამარტებით დაწესებულება აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს სრულად.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1120-ით განსაზღვრა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მათ მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის რაოდენობა გაიზარდა ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ 1600 კვ.მ-ით.

ლელა ქელბაძიანი დაინტერესდა იყო თუ არა მერხები ორადგილიანი. რაც დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა.

დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დაიმატა ერთი სართული, რომელიც ფაქტობრივად მთლიანად წარმოადგენდა სასწავლო ფართს, 19 აუდიტორიით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა, სტუდენტთა მოთხოვნა მზარდი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წელს პირველად განახორციელა სტუდენტების მიღება, მოთხოვნა იყო მზარდი, დაწესებულება კი ორიენტირებული იყო განვითარებაზე.

დავით კიკალეიშვილმა ექსპერტებს (ჰუთხავი), იყო თუ არა ექსპერტთა მიერ შეფასებული ის, რომ დაწესებულება ვითარდებოდა და სტუდენტთა მოთხოვნა იყო მზარდი.

ექსპერტ ეკა ლუაშვილის განმარტებით მატერიალური რესურსი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს, დაწესებულებას ჰქონდა გაზრდის პოტენციალი, მისი პროგრამები ბაზარზე იყო მოთხოვნადი. ეკა ლუაშვილის თქმით (მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ შეძლო პირველივე წელს 455 სტუდენტის მიღება.. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალი საკმაოდ მაღალკვალიფიციური გახლდათ, რაც შეხვედრების დროსაც დადასტურდა, ეს კი დაწესებულების საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი უნდა გამხდარიყო.

დავით კიკალეიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დროს, მოთხოვნილი სტუდენტთა ოდენობა საკმაოდ ლოგიკური იყო, ის დაინტერესდა დაწესებულებას ჰქონდა თუ არა გათვლილი რას ეფუძნებოდა ზრდა.

დავით ჩერქეზიშვილმა აღნიშნა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოცხადებული კონტიგენტი თითქმის 90%-ით შეივსო, ამ ეტაპზე დაწესებულებას მეტი გამოცდილება დაუგროვდა, მატერიალური რესურსი გაუმჯობესდა, მისი აზრით, შემდგომი განვითარებისათვის დაწესებულებას სჭირდება მეტი რესურსი, რისი მოპოვებაც სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ზრდით არის შესაძლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400028849) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1120-ით.



2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენლებმა - ნინო ქვანიამ, ზურაბ ჯავახიშვილმა და დალი ცეიტიშვილმა, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინეს უნივერსიტეტის რექტორის მიერ გაცემული მინდობილობები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ ისარგებლა მინიჭებული უფლებამოსილებით და განაცხადა თვითაცილება, იგი იყო ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

საბჭოს წევრმა, ანა ბახტურიძემ ისარგებლა მინიჭებული უფლებამოსილებით და განაცხადა თვითაცილება, იგი იყო ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებდა მონაწილეობას მოცემული საკითხის განხილვის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივნობა დაავალა დავით კიკალეიშვილს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თინათინ კუბლაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2013 წლის 18 აპრილის მდგომარეობით უნივერსიტეტი ახორციელებდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, კერძოდ, 28 საბაკალავრო, 32 სამაგისტრო და 7 სადოქტორო პროგრამას. ასევე, 24 პროფესიულ და 21 უმაღლეს პროფესიულ პროგრამას. უნივერსიტეტის სასწავლო ფართი შეადგენდა 28287,44 კვ.მ-ს, კომპიუტერების საერთო რაოდენობა - 1497 ერთეულს, აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 239 (მათ შორის სრული პროფესორი - 68, ასოცირებული - 121 და ასისტენტ პროფესორი - 50). რის საფუძვლებზე, უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 31 ივლისის N1 გადაწყვეტილებით სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 13000, აქედან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა - 200.

უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემდეგ დაწესებულებამ კონკურსის წესით დაიმატა აკადემიური პერსონალი, შეიძინა კომპიუტერები და დაზუსტა უნივერსიტეტის კუთვნილებაში არსებული ფართები. უნივერსიტეტის სასწავლო ფართი შეადგენდა 33816,26 კვ.მ. კომპიუტერების საერთო რაოდენობაა 1757. უნივერსიტეტი ახორციელებდა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძოდ, 26 საბაკალავრო, 36 სამაგისტრო და 8 სადოქტორო პროგრამას. ასევე, 24 პროფესიულ და 21 უმაღლეს პროფესიულ პროგრამას. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას უნივერსიტეტი ახდენს შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსით, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალით.



უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის შედეგად, დღეისათვის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 208, მათ შორის პროფესორი - 92 და ასოცირებული პროფესორი - 116.

ნინო ჟვანიას განმარტებით დაწესებულებამ რესურსები განაახლა და სტუდენტებს დღეს უკეთ პირობებში უწევთ სწავლა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 14560-ით განსაზღვრა, მათ შორის 14360 აკადემიური სტუდენტი და 200 პროფესიული სტუდენტი.

კახაბერ ჯაყელმა გამოთქვა სურვილი, რომ მომავალში ექსპერტებს საკითხის საბჭოზე გატანისას გააკეთონ პრეზენტაციები სურათების წარმოდგენით.

ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ დასკვნას თან ახლდა სურათები და ეს ფაქტი შეიძლება სავალდებულოც გახდეს მომავალში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 14560-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვროს 14 560-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვროს 200-ით.

3. შპს „სულხან-საბა“ ორგელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა:

1. მატერიალური რესურსი:

შპს „სულხან-საბა“ ორგელიანის სასწავლო უნივერსიტეტი“ თბილისში, კ. ქუთათელაძის ქ. №3-ში, საკუთრების უფლებით, ფლობს 2995,75 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.14.03.041.017), საიდანაც, 1487.39 კვ.მ წარმოადგენს სასწავლო, ხოლო 1508.36 კვ.მ დამხმარე ფართს. უნივერსიტეტი, თბილისში, აბესაძის ქ. №6-ში, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე ფლობს 1096,6 კვ.მ. ფართს, საიდანაც 337,71 კვ.მ. გამოიყენება სასწავლო, ხოლო 758, 89 კვ.მ დამხმარე მიზნებისთვის (საკადასტრო კოდი 01.18.03.038.021). მთლიანობაში უნივერსიტეტის მფლობელობაშია 1825.1 კვ.მ. სასწავლო და 2267.24 კვ.მ. დამხმარე ფართი (სულ 4092.35 კვ.მ.) ვიზიტის დროს სასწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე სტუდენტთა სარგებლობისთვის ირიცხება 270 ერთეული სკამი დაფით (მაგიდით), 127 ორადგილიანი მერხი შესაბამისი სკამით, 579 ერთადგილიანი მერხი, შესაბამისი რაოდენობის სკამით, უნივერსიტეტს ერთდროულად შეუძლია მოემსახუროს 1103 სტუდენტს. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 12352 ერთეულ წიგნს. სტუდენტებისა და პერსონალის სარგებლობაშია – 35 ერთეული პორტატული (ნოუთბუქი) და 45 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, 20 პროექტორი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (პრინტერი, სკანერი, ასლის გადამღები აპარატები, პროექტორის დაფები და სხვა).

2. ადამიანური რესურსი

უნივერსიტეტში ექსპერტთა ვიზიტის მომენტისთვის ხორციელდებოდა 5 საბაკალავრო და 1 სამაგისტრო საფეხურის აკადემიურის საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერკულტურული კომუნიკაციისა და თარგმნის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.



პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი განათლება, სამუშაო და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება შეესაბამება კანონმდებლობით დაწესებულ კრიტერიუმებს.

- სრული პროფესორი - 10
- ასოცირებული პროფესორი - 11
- ასისტენტ-პროფესორი - 3
- მოწვეული პედაგოგი - 61

ვიზიტის მომენტისთვის უნივერსიტეტს, საჯაროობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, გამოცხადებული ჰქონდა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი 9 აკადემიურ თანამდებობაზე (1 სრული და 8 ასოცირებული პროფესორი). კონკურსის პირობები შეესაბამება როგორც უმაღლესი განათლების მესახებ საქართველოს კანონით, ასევე უნივერსიტეტის დებულებით დადგენილ პირობებს.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1250-ით განსაზღვრა.

ანა ბახტურიძე დაინტერესდა რამდენი სტუდენტი ჰყავდა ამჟამად დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამჟამად დაწესებულებაში სწავლობდა 548 სტუდენტი.

დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა რას ეფუძნებოდა დაწესებულების ასეთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ის ორჯერ ზრდიდა სტუდენტების რაოდენობას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არსებული რეალობიდან გამომდინარე, უამრავი (თავისუფალი) აუდიტორია ჰქონდა დაწესებულებას, ცხრილიც ისეა შედგენილი, რომ სტუდენტების რაოდენობის გაზრდა თავისუფლად იყო შესაძლებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც სასწავლო უნივერსიტეტმა გაზარდა სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა, შეიცვალა მატერიალური რესურსის ოდენობაც, ახალი შენობის დამატებას მოჰყვა ფართის ზრდა.

დავით კიკალეიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით, სასწავლო უნივერსიტეტს ერთდროულად 1103 სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობა ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შესაძლებელი იყო ორ ცვლაში სწავლების განხორციელება, მით უმეტეს, რომ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა მიმდინარეობდა დღის მეორე ნახევარში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო უნივერსიტეტი აპირებდა სამაგისტრო პროგრამების დამატებას, ასევე აპირებდა სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის ნელ-ნელა ათვისებას, რაც განვითარების მეტ შესაძლებლობას იძლეოდა.

საბჭომ იმსჯელა შპს - სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხზე.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სულხან- საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1250-ით განსაზღვრის საკითხი.



კუნძისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სულხან- საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204426834) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1250-ით.



4. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ციური დურულმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

ციური დურულის განცხადებით, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს ჰქონდა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი და სურდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კოლეჯის, სტატუსის მოპოვება, დამატებით გეგმავდა პროფესიული პროგრამების განხორციელებასაც. რადგან შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA მოქმედი პროფესიული დაწესებულება იყო, მას ჰქონდა პროფესიული პროგრამების განხორციელების გამოცდილება, თუმცა, მისი განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებული იქნა როგორც უმაღლესი, აგრეთვე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო. მისი განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა დარგობრივი პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით. აღნიშნული შეხებოდა, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსაც.

სხდომის თავმჯდომარე - რევაზ აფხაზავამ, განაცხადა, რომ დასკვნა საბჭოს წევრებს წაკითხული ჰქონდათ და მიმართა ექსპერტს, დაუზუსტებინა, იყო თუ არა რაიმე სახის შენიშვნა.

ციური დურულის განცხადებით, დასკვნა დადებითი იყო და ექსპერტებს შენიშვნა არ ჰქონდათ დაფიქსირებული.

საბჭოს წევრი, ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, მატერიალური რესურსის, კერძოდ, ფართის აღწერისას მესამე სართულზე იყო თუ არა სასწავლო ფართი.

ციური დურულის განცხადებით, შენობის მესამე სართულზე არ იყო სასწავლო ფართი. იქ იყო საკმაოდ დიდი, კეთილმოწყობილი კაფეტერია.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.



დაწესებულების წარმომადგენლის, კახაბერ ერაძის, განცხადებით, დაწესებულება უკვე 3 წელია, რაც საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსით საქმიანობდა. მისი განცხადებით, დაწესებულების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდანაც ჩანს, რომ ისინი ემზადებოდნენ დამატებით, საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და შესაბამისად, სტატუსის შეცვლისათვის.

კახაბერ ერაძის განცხადებით, დაწესებულება ცალსახად დარგობრივი იყო, მათ სურდათ შეექმნათ მცირე ბიზნესის ინკუბატორი, სადაც საბაკალავრო პროგრამის წარჩინებული კურსდამთავრებულები შექმნიდნენ ჯგუფებს და თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებდნენ პროფესიული პროგრამის სტუდენტებს, რომლებსაც ეცოდინებოდათ, თუ როგორ იწარმოება მცირე ბიზნესი. მისი განცხადებით, ეს, რა თქმა უნდა 4 წლის შემდგომი პერსპექტივა იყო, რომლის განხორციელება რეალისტური იყო, რადგან ჰყავდათ მხარდამჭერებიც.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ეს იყო ინოვაციური შეთავაზება საგანმანათლებლო ბაზრისათვის. ამასთან, მისი განცხადებით, დაწესებულება მუდმივად ჩართული იყო ყველა საგანმანათლებლო ღონისძიებაში, სტანდარტების შემუშავებაში და როგორც ცენტრი, აგრეთვე, საგანმანათლებლო სისტემა იცნობდა მათ.

სხდომის თავმჯდომარე დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის, განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა სტუდენტთა რაოდენობის 800-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 280-ით განსაზღვრა.

კახაბერ ერაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაახლოებით 80 კვ.მ. არ იქნა ჩათვლილი სასწავლო ფართად, თუმცა მხოლოდ პირველი სართული სასწავლო ფართის პირობებში, მაშინ როდესაც შენობის მეორე სართული არ იყო გამოყენებული საგანმანათლებლო მიზნებისათვის, დაწესებულებას, როგორც საზოგადოებრივ კოლეჯს, განსაზღვრული ჰქონდა 669 პროფესიული სტუდენტის მომსახურების შესაძლებლობა.

კახაბერ ერაძის განცხადებით, ზემოაღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობდა იქედან, რომ პროფესიული პროგრამების სტუდენტების 40% მუდმივად პრაქტიკაზე იყო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს პრაქტიკის მიხედვით, დაშვებული იქნა 2-ცვლიანი სწავლების გათვალისწინება ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას. ამასთან, შენობის მეორე სართული იქნა დამატებული.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჯაყელი, დაინტერესდა ჰყავდა თუ არა დაწესებულებას ე.წ. „დამკვეთი“ დამსაქმებელი და რამდენ სტუდენტზე იყო მოთხოვნა მათი მხრიდან.

კახაბერ ერაძის განცხადებით, დაწესებულებას ჰყავდა 27 პარტნიორი ორგანიზაცია, მათ შორის, 3 საბანკო ასოციაცია და სხვა ბიზნეს ორგანიზაციები. მისი განცხადებით, დაწესებულება ვერ დაეყრდნობა მათ კვოტას, რადგან გარანტი იმისა, რომ ყველა სტუდენტი წარმატებით დაასრულებს სწავლას, არ არსებობს.

კახაბერ ჯაყელი დაინტერესდა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იყო თუ არა ეს ფაქტორი ინდიკატორად მიჩნეული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ერთ-ერთ იდიკატორად იყო მიჩნეული.

კახაბერ ჯაყელი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა დაწესებულების მიერ დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამებში.



კახაბერ ერაძის განცხადებით, დაწესებულებაში გასულ წელს ჩატარებული იქნა 2 კვლევა, მათ შორის 1 კვლევა TBC ბანკის მხარდაჭერით და დადგინდა, რომ დამსაქმებლისათვის საჭირო იყო ტრანსფერული უნარების განვითარება, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნა აისახა საგანმანათლებლო პროგრამებში.

საბჭომ იმსჯელა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 280-ით, განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი (კოლეჯი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

5. შპს - სასწავლო უნივერსიტეტი ვიტა ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე.

1. დაწესებულების მისია

1.1 დაწესებულების მისია არ პასუხობს „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანების მოთხოვნას - „დაწესებულებას აქცს მისია, რომელიც შეესაბამება საქართველოში განათლების სათანადო საფეხურის ძირითად მიზნებს და არის დაწესებულების თვითმყოფადობისა და სახის გამომხატველი“, რადგან: ა) არ ასახავს უმაღლესი განათლების საფეხურების (ზაკალავრიატის, მაგისტრატურის) მიზნებს და დაწესებულების სახეს (სასწავლო უნივერსიტეტი). მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების დებულებაში მითითებულია, რომ დაწესებულების სახე არის „სასწავლო უნივერსიტეტი“, იმავე დებულების სხვა დოკუმენტში, მათ შორის, რექტორის ბრძანებებში გამოყენებულია ტერმინი „უნივერსიტეტი“, ხოლო რექტორის ზოგიერთ ბრძანებაში დაწესებულებას ასევე უწოდებენ „აკადემიას“; ბ) დაწესებულების თვითმყოფადობას და განათლების სათანადო (I და II) საფეხურის ძირითად მიზნებს არ ასახავენ არც დაწესებულების მისიიდან გამომდინარე მიზნები, რომლებიც სიტყვასიტყვით იმეორებენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლს „უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნები“. დებულებაში, ასევე, მითითებულია, რომ დაწესებულება ამ მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფს, მაგალითად, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის, აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, აგრეთვე, თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო სისტემებში სრულუფლებიან მონაწილეობას და სხვ., რაც კანონის თანახმად, წარმოადგენს სახელმწიფოს პრეროგატივას.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა საბჭოს წევრებსა და ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჯაყელმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მისია უფრო ხედვა იყო, ვიდრე - მისია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, მისია არ იყო ბუნდოვანი, მათ შორის არც უნივერსიტეტის სახესთან დაკავშირებით. რაც შეეხება სახელმწიფო პრეროგატივის რეგლამენტაციას, დაწესებულება უბრალოდ იზიარებდა აღნიშნულ მიდგომებს და უთითებდა მათზე ყურადღების გამახვილების მიზნით. წარმომადგენლის განარტებით, დაწესებულება გეგმავდა მრავალეთნიკური კონტიგენტის მიღებას, რაც ასევე მნიშვნელოვანი იყო.

ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა, განაცხადა, რომ შენიშვნის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ დაწესებულების მისიასა და მიზნებს შორის უნდა არსებობდეს განუყოფელი ბმა, ხოლო მიზნებიდან უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული ამოცანები, რომლებსაც ისახავს დაწესებულება. მოცემულ შემთხვევაში კი, დაწესებულებას არ ჰქონდა გაზრებული საკუთარი მისია და მისი კავშირი მიზნებსა და ამოცანებთან. ექსპერტმა, საბჭოს თავჯდომარის თხოვნით, დაასახელა საკუთარი მოსაზრების შესაბამისი მაგალითი დისკრიმინაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება საკუთარი რესურსით ვერასოდეს უზრუნველყოფადა „უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას (...)".

თავჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, პასუხობდა თუ არა დაწესებულების სხვა მიზნები მის მისიას.

ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების მიზნები წარმოადგენდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში რეგლამენტირებული „უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების“ ციტირებას.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნიდან გამომდინარე დაწესებულებასა და სახელმწიფოს იდენტური მიზნები ჰქონდათ. ექსპერტმა დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭოს წევრი, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას არსად არ ჰქონდა მითითებული, რომ საკუთარი მიზნების მიღწევას უშუალოდ დაწესებულების ფარგლებში აპირებდა, შესაბამისად იგი იმეორებდა სახელმწიფოს მიზნებს.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჯაყელი, არ დაეთანხმა კოლეგის მოსაზრებას და განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული ვერ იქნებოდა მიჩნეული არგუმენტად, რადგან დაწესებულებას უნდა ჰქონოდა საკუთარი მიზნები, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში მისთვის უტოპიური იყო.

2. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

2.1 დაწესებულების დებულების თანახმად, „უნივერსიტეტში აკადემიური პროგრამების შემუშავება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და პრაქტიკის ობიექტის/დამსაქმებლის წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით. პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, შეფასებას გადის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და განსახილველად წარედგინება აკადემიურ საბჭოს“.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, რეალურად, ეს პროცესი წარიმართა შემდეგნაირად: აკადემიური კონკურსის შედეგები გამოცხადდა 2013 წლის 16 მაისს, 17 მაისს რექტორის ბრძანებით აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნა აკადემიური პერსონალი და 20 მაისს - მოწვეული სპეციალისტები/მასწავლებლები. იმავე დღეს - 20 მაისს ფაკულტეტების საბჭოებმა პირველივე სხდომებზე განიხილეს პროგრამების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები, მოიწონეს და განსახილველად გადასცეს აკადემიურ საბჭოს, რომელმაც, ასევე, პირველივე სხდომაზე დაადგინა: „მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით და წარედგინოს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად“.



მითითებული თარიღებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამების და სილაბუსების შესამუშავებლად აკადემიურ პერსონალს დაჭირდა 2, ხოლო მოწვეულ სპეციალისტებს - არც ერთი დღე. ამ ვადებში, მაგალითად, მაყვალა ჩიჩუამ შეიმუშავა 8 სილაბუსი, გიორგი ძნელაძემ - 6, დალი ბაიდაურმა - 4, ნინო ჩეკურიშვილმა - 4, მართა კლდიაშვილმა - 4 და ა.შ.; მოწვეულმა სპეციალისტებმა გიორგი ონიანმა - 7, მამუკა გოგიბერიძემ - 7, არჩილ თამასიძემ - 7, ნანა ჭიკაძემ - 5, დალი ზერაგიამ - 4, თინა ონიანმა - 4 და ა.შ.

შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება: а) რატომ შეიმუშავეს ამ (და სხვა) პირებმა ეს და არა სხვა სასწავლო კურსების სილაბუსები (აკადემიური კონკურსის მოთხოვნებში არ იყო გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსების წარდგენა); б) როგორ განსაზღვრეს ამ და არა სხვა სასწავლო კურსების საჭიროება პროგრამების მიზნებისა და კურსდამთავრებულების კომპეტენციების მისაღწევად; გ) როდის და როგორ ჩამოყალიბდა პროგრამების მიზნები, შედეგები და კურიკულუმების სხვა კომპონენტები იმის გათვალისწინებით, რომ ფაკულტეტების საბჭოების პირველივე სხდომებზე, რომლებიც ჩატარდა აკადემიური პერსონალის დანიშვნიდან 2 დღეში და მოწვეული პერსონალის დანიშვნის დღეს, განიხილეს და მოიწონეს უკვე მომზადებული პროგრამები; დ) ვის მიერ და როდის დაინიშნენ პროგრამების ხელმძღვანელები, რომლებმაც საბჭოებს წარუდგინეს საგანმანათლებლო პროგრამები და სხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო რაში ხედავდა ექსპერტი პრობლემას; კერძოდ, დაწესებულებას ედებოდა ბრალი იმაში, რომ პროგრამა არ იყო რეალურად მის მიერ შემუშავებული, რადგან ამ ვადაში პროგრამის შემუშავება შეუძლებელი იყო, თუ ვადის დარღვევაზე კეთდებოდა აქცენტი. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობდა არაფორმალური კომუნიკაციის გზით, შემდეგ კი მოხდა მისი „ტექნიკური გაფორმება“.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, პროგრამაც ორ დღეში იყო დამტკიცებული, თუ - არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ასევე, ორ დღეში დამტკიცდა, მანამდე მიმდინარეობდა არაფორმალური მუშაობა, შემდეგ კი, მოხდა ოფიციალურად გაფორმება.

2.2 დაწესებულების დებულებაში გათვალისწინებულია და პროგრამების კურიკულუმებში მითითებულია, რომ „პროგრამის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს დამსაქმებლებმა“, თუმცა შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება 17-19 მაისის შუალედში კონკრეტულად რომელ დღეს და რა ფორმით (პროგრამის პროექტის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება, შეხვედრები, გამოკითხვები ან სხვ.) მიიღეს პროგრამების შემუშავებაში უშუალო მონაწილეობა დამსაქმებლებმა, რა რეკომენდაციები ჰქონდათ და იყო თუ არა ეს რეკომენდაციები გათვალისწინებული და ა.შ.. ყოველივე ზემოაღნიშნული გამორიცხავს პროგრამების შემუშავების რეალურ პროცესს და მის შესაბამისობას დაწესებულების მიერ პროგრამების შემუშავების დადგენილ წესთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა დაწესებულება, რომელიც გეგმავს საგანმანათლებლო ბაზარზე შემოსვლას აწარმოებს მარკეტინგულ კვლევას, როგორც ფორმალურად, ისე - არაფორმალურად. წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას არავინ ავალდებულებდა, რომ ეს კვლევები ოფიციალურად გაეფორმებინა, შესაბამისად მისთვის გაუგებარი იყო, რატომ გახდა აღნიშნული საკითხი პრობლემატური.

ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა, განაცხადა, რომ დამსაქმებელთა ჩართულობის დადასტურებას დაწესებულებას ავალდებულებდა არა რომელიმე სხვა აქტი, არამედ თავად



მისივე დებულება; ხოლო დადასტურების ფორმის არჩევაში, დაწესებულებას გააჩნდა სრული თავისუფლება.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, დაწესებულებას საკუთარ დებულებაში რომ არ ჰქონოდა გაკეთებული მსგავსი ჩანაწერი და იქნებოდა თუ არა ექსპერტს შენიშვნა, ასეთი ჩანაწერის არარსებობაზე. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ამითი იგი ცდილობდა დაედგინა, საუბარი იყო უბრალოდ ტექნიკურ დეტალზე, თუ არსებითი ხასიათის დარღვევაზე.

ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავების დროს მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, თუ არ იქნებოდა დებულებაში მსგავსი ჩანაწერი, იგი არ დაწერდა შენიშვნას, მაგრამ აუცილებლად მიუთითებდა დასკვნაში - აღწერილობით ნაწილში - მნიშვნელოვან გარემოებად იმას, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში დამსაქმებელები არ მონაწილეობდნენ. ექსპერტმა განმარტა, რომ ავტორიზაციის პროცესი გულისხმობს ექსპერტთა მიერ ადგილზე იმის გადამოწმებას, ასრულებს თუ არა დაწესებულება იმას, რაც თავად მიუთითა და რამდენად სწორია მისი თვითშეფასება. მოცემულ შემთხვევაში, არ დადასტურდა დაწესებულების მიერ საკუთარი დებულებით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულების ფაქტი, შესაბამისად შენიშვნა ექსპერტს სწორედ ამ კუთხით ჰქონდა დაფიქსირებული.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქინმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, მოითხოვა თუ არა მან ვიზიტის დროს დაწესებულებისაგან დამსაქმებელთა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩარმოდგენა.

ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა, აღნიშნა, რომ ცხადია ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებობდა დაწესებულების მიერ გამოყოფილი საკონტაქტო პირი, რომლის მეშვეობითაც ყველა საჭირო დოკუმენტი იქნა მოთხოვნილი. ამასთან, დაწესებულება როგორც ვიზიტის დროს, ასევე მოცემულ სხდომაზეც თავადვე აღნიშნავდა, რომ პროცესებს არაფორმალურად აწარმოებდა.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქინმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, რომელ სტანდარტს არღვევდა დაწესებულება ამ შენიშვნის თანახმად.

ექსპერტმა, ეკა ლუაშვილმა, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ირღვეოდა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით მოქმედი სტანდარტი პროგრამის შემუშავების ნაწილში.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქინმა, განაცხადა, რომ სტანდარტი ითხვდა დამტკიცებულ პროგრამას, პროგრამა კი დამტკიცებული იყო.

ექსპერტი, ეკა ლუაშვილი, არ დაეთანხმა ლელა ქელბაქინს და განაცხადა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი ითხოვდა სათანადო წესით დამტკიცებული პროგრამის არსებობას, ისე როგორც დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციების შესრულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა საბჭოს, კანონი თუ არ ავალდებულებდა მას დამსაქმებელთა ჩართულობის დადსტურებას, რატომ ითხოვდა ამას ექსპერტი.

თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობდა არა საკანონმდებლო რეგულაციებიდან, არამედ თავად დაწესებულების დებულებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დებულება იყო მისი შიდა აქტი და შესაბამისად, იგი თავად განსაზღვრავდა მისი შესრულების წესს.



თავჯდომარემ განაცხადა, რომ დებულება მართალია იყო დაწესებულების შიდა აქტი, მაგრამ დაწესებულებას არ ჰქონდა უფლება რიგ შემთხვევებში დაცვა დებულების მოთხოვნები, ხოლო რიგ შემთხვევებში, საკუთარი შეხედულებისამებრ, არ გაეთვალისწინებინა ისინი.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებისა და მისი სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებელთა ჩართულობის გამოკვეთა; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება არ გეგმავდა დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფას, მაშინ დებულებაში საერთოდ არ უნდა გაეკეთებინა მსგავსი ჩანაწერი.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქინმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა დოკუმენტური დადასტურება, თუმცა აცხადებდა, რომ დამსაქმებელთა ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო.

2.3. ინგლისური ენა 1 (I სემესტრი)

2.3.1 სამივე საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სასწავლო კურსის მიზანია „სტუდენტს გაუღრმავოს ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ნასწავლი ინგლისური ენის ყველა უნარი B1.1 დონეზე”, რაც არაა დეკვატურია იმ სტუდენტების მიმართ, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარეს არა ინგლისური, არამედ სხვა უცხო ენა და არ იციან ინგლისური ენა B1 დონეზე, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამებზე დაშვების წინაპირობად არ არის მითითებული B1 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის აუცილებლობა.

შესაბამისად სტუდენტები, რომლებიც ჩარიცხვის მომენტისთვის არ ფლობენ ინგლისურ ენას B1 დონეზე, ვერ შეძლებენ პირველ სემესტრში ინგლისური ენა 1-ის, ხოლო მომდევნო სემესტრებში - ინგლისური ენა 2, 3 და 4-ის შესწავლას და საბოლოო ჯამში, უცხო ენაზე კომუნიკაციას, რაც გათვალისწინებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით;

2.3.2 ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ინგლისური ენა 1 - სტუდენტის შეფასების სისტემაში მითითებულია - „თითოეული დავალების მომზადება ფასდება მაქსიმალური 2 ქულით”, ამავე დროს, მითითებული ქულების გრადაცია 1 ქულა - (დავალება სრულყოფილადაა შესრულებული), 0.5 ქულა (დავალება არასრულყოფილადაა შესრულებული) და 0 ქულა (დავალება არ არის შესრულებული) გამორიცხავს თითოეული დავალებისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური 2 ქულის მიღების შესაძლებლობას;

2.3.3 ბიზნესის ადმინისტრირების და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს „ინგლისური ენა 1” აქვთ იდენტური მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სავალდებულო ლიტერატურა და სხვ. ამავე დროს, მათ აქვთ განსხვავებული კრედიტების რაოდენობა - 5 და 3, აღნიშნული არ შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებას (მ.2, პ.4.), რომლის თანახმად, „ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იმავე შინაარსის და მოცულობის მოდული ან საგანი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს”.

2.4 ინგლისური ენა 4

2.4.1 სამივე საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლის შედეგებში მითითებულია, რომ „სტუდენტი აღჭურვიული იქნება ინგლისური ენის გრამატიკული სტრუქტურების B2.2 დონის ცოდნით”, ამავე დროს, სასწავლო კურსების შინაარსში არ არის გათვალისწინებულია გრამატიკის შესწავლა;



2.4.2 ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ინგლისური ენა 4 - სტუდენტის შეფასების სისტემაში მითითებულია - „თითოეული დავალების მომზადება ფასდება მაქსიმალური 2 ქულით”, ამავე დროს მითითებული ქულების გრადაცია 1 ქულა - (დავალება სრულყოფილადაა შესრულებული), 0.5 ქულა (დავალება არასრულყოფილადაა შესრულებული) და 0 ქულა (დავალება არ არის შესრულებული) გამორიცხავს თითოეული დავალებისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური 2 ქულის მიღების შესაძლებლობას;

2.4.3 საექტნო საქმის საბაკალავრო და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში „ინგლისური ენა 4”-ის სილაბუსებში მითითებულია, რომ სტუდენტი შეძლებს „სპეციალიზირებული ტექსტების B2.2 დონის შესაბამისი ინფორმაციული და სხვა ხასიათის ტექსტების წაკითხვას”, ამავე დროს ორივე სასწავლო კურსს აქვს ერთნაირი შინაარსი, ორივე შემთხვევაში სავალდებულო ლიტერატურის სახით მითითებულია არა სპეციალიზებული, არამედ Total English. Advansed. 2007. Wilson, ხოლო დამატებითი ლიტერატურის სახით - არა სამედიცინო ტერმინოლოგიის, არამედ ”ინგლისურ-ქართული უნივერსალური იურიდიული და ბიზნეს ლექსიკონი. ვ. პაპავა. 2006” (საექტნო საქმის საბაკალავრო პროგრამა). აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ იქნება მიღწეული უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამის დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსები არ იყო იდენტური, ხოლო საათები განაწილებული იყო თემატიკის მიხედვით; კერძოდ, ერთ შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო 90 საათი და შესაბამისად, 3 კრედიტი; ხოლო მეორე შემთხვევაში, 150 საათი და შესაბამისად, 5 კრედიტი.

ექსპერტმა ეკა ლუაშვილმა განაცხადა, რომ სილაბუსების შინაარსი იყო იდენტური, კრედიტები კი, განსხვავებული - ლექციებისა და ჯგუფში მუშაობის საათების ტექნიკურად გაზრდის ხარჯზე.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, გათვალისწინებული იყო თუ არა საათების განაწილების დროს დარგობრივი ინგლისურის სპეციფიკა, რომელიც მაგალითად, გულისხმობდა იმას, რომ ჯანდაცვის მიმართულებით უფრო დიდი დრო უნდა დაეთმოს დარგობრივი ინგლისურის შესწავლას, ვიდრე - ბიზნესის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწორედ დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარებდა კრედიტების განსხვავებულობა.

ექსპერტი არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებას. საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, თემატიკა იყო თუ არა ორივე შემთხვევაში ერთნაირი. ექსპერტმა დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, განაცხადა, რომ საბჭომ შეისწავლა სილაბუსები და გამოარკვია, რომ სილაბუსების თემატიკა ემთხვევა ერთმანეთს და არ იკვეთება დარგის სპეციფიკა, შესაბამისად, დაწესებულების განმარტება მცდარია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საათების ზედმეტობა გამოწვეული იყო ტერმინოლოგიის მრავალფეროვნებით.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, აღნიშნა, რომ სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საათები ტექნიკურადაა გაზრდილი, შესაბამისად, დაწესებულების არგუმენტი დაუსაბუთებელია.



საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, განაცხადა, რომ სილაბუსიც არ იყო ორიენტირებული დარგის სპეციფიკაზე, დაწესებულება ასწავლიდა ზოგად ინგლისურს და არა - დარგობრივ ინგლისურს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმებოდა საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საათები ტექნიკურად იყო გაზრდილი სამუშაო ჯგუფების ხარჯზე. წარმომადგენელი ასევე, დაეთანხმა ექსპერტის შენიშვნას, შეფასების ნაკლოვანების ნაწილში, რომელიც არ იძლევა 2 ქულის მიღების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენად იყო ადეკვატური სასწავლო კურსის მიზანი - „სტუდენტს გაულრმავოს ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ნასწავლი ინგლისური ენის ყველა უნარი B1.1 დონეზე”, იმ სტუდენტთან მიმართებით, რომელმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა არა ინგლისური, არამედ - სხვა უცხო ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, იგი შექმნიდა ცალკე ჯგუფს და ასწავლიდა სტუდენტს ინგლისურ ენას.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, განაცხადა, რომ გაუგებარი იყო, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ შედგებოდა ჯგუფი.

თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მოცემული მიზნის არსებობის პირობებში, დაწესებულებას მიღების წინაპირობად უნდა ჰქონოდა მითითებული ინგლისური ენის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს შეფასებებს.

2.5 სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში - სწავლის შედეგებში (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი) მითითებულია „სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კვლევებში სტატისტიკური მეთოდების გამოყენება”, ეკოლოგიური კვლევების სტატისტიკური მეთოდების ცოდნა და გამოყენება არ გამომდინარეობს სასწავლო კურსის მიზნიდან - „ეკონიმიკურ ანალიზსა და პროგნოზირებაში სტატისტიკური მეთოდებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების შესწავლა” და არ არის გათვალისწინებული არც სასწავლო კურსის შინაარსში, სადაც ყველა საკითხი დაკავშირებულია ეკონომიკასთან, ბიზნესთან, მენეჯმენტთან და საფინანსო-საბანკო სფეროსთან და არც სავალდებულო ლიტერატურაში (მათემატიკური სტატისტიკა ეკონომიკაში. გაბიძაშვილი, 2004; გაბიძაშვილი. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. 2008), რაც ასევე დასტურდება ამ სახელმძღვანელოების ანოტაციებით: „განხილულია ეკონომიკაში მათემატიკური სტატისტიკის აქტუალური საკითხები. გაშუქებულია ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში სტატისტიკის აქტუალური საკითხები”.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით ექსპერტს, სტატისტიკის გადაცემა შემოფარგლული იყო თუ არა ზოგადი საკითხებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენიშვნა წარმოადგენდა ამონარიდს ექსპერტთა დასკვნიდან, შესაბამისად, მან კვლავ გაიმეორა დასკვნის ტექსტი - სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში - სწავლის შედეგებში მითითებული იყო „სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ კვლევებში სტატისტიკური მეთოდების გამოყენება”, თუმცა ეკოლოგიური კვლევების სტატისტიკური მეთოდების ცოდნა/გამოყენება არ გამომდინარეობს სასწავლო კურსის მიზნიდან და არ არის გათვალისწინებული არც სასწავლო კურსის შინაარსში. ექსპერტმა განმარტა, რომ ამ საგნის შესწავლა სილაბუსში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით შეუძლებელი იქნებოდა, შესაბამისად ვერ მიიღწეოდა სწავლის შედეგი, რომელიც მითითებული იყო სილაბუსში.



საბჭოს წევრმა, კახაბერ ჯაყელმა, აღნიშნა, რომ ბიკენტი გაბიწაშვილის სახელმძღვანელო ყველა კვლევაში გამოიყენებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელო ფართოდ გამოიყენებოდა და სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევასაც უზრუნველყოფდა.

2.6 ლოგიკა - სწავლის შედეგში (კომუნიკაციის უნარი) მითითებულია, რომ სტუდენტს „საკვლევი თემის დამუშავებისა და წარდგენის შედეგად გამოუმუშავდება კომუნიკაციის უნარი”, ამავე დროს, სასწავლო კურსი ითვალისწინებს არა კვლევას, არამედ მცირე მოცულობის პრეზენტაციის მომზადებას („სტუდენტები ვალდებულები არიან მოიმიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და მოამზადონ სლაიდ-შოუ”); ამასთან, სილაბუსში არ არის მითითებული მირითადი/სავალდებულო ლიტერატურა, რაც არ შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის № 188 ბრძანების მე-11 მუხლის პირველ პუნქტს „სილაბუსში მიეთითება (...) ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა”.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ხარისხობრივად განსხვავებული მასალის მოძიება ნიშნავდა, რომ სტუდენტი არჩევს მასალას, რაც თავისთავად არის კვლევის ნაწილი.

თავჯდომარემ განაცხადა, რომ მართალია აღნიშნული წარმომადგენდა კვლევის ერთ-ერთ მეთოდს, მაგრამ კვლევის კომპონენტისათვის არ იქნებოდა საკმარისი მხოლოდ მეორადი დოკუმენტაციის დამუშავება.

საბჭომ, იმის გამო, რომ დაწესებულება არ დაეთანხმა წარმოდგენილ შენიშვნას, გადაამოწმა ლოგიკის სილაბუსში მირითადი და სავალდებულო ლიტერატურის მითითების არარსებობის ფაქტი და დაადგინა, რომ ლიტერატურა მართლაც არ იყო მითითებული. აღნიშნულის შემდეგ, დაწესებულება დაეთანხმა შენიშვნას.

2.7 მათემატიკა ექსპერტისთვის - სასწავლო კურსის მიზანია „ სტუდენტმა შეძლოს მათემატიკური გამოთვლების ჩატარება, იცოდეს წილები, პროცენტები, ხარისხები”, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს მხოლოდ ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე უკვე შესწავლილ საკითხებს, მაგალითად: ლექცია 1 - ნატურალური რიცხვები, შეკრება, გამოკლება; ლექცია 2 - გამრავლება, გაყოფა, გაყოფადობის ნიშნები; ლექცია 3 - მარტივი და შედგენილი რიცხვები, უდიდესი საერთო გამყოფი; ... ლექცია 6 - მთელი რიცხვები, მოქმედებები მთელ რიცხვებზე; ლექცია 7 - ჩვეულებრივი წილადები; ლექცია 8 - ათწილადები და ა.შ. ლექცია 15 - ერთწევრი და მრავალწევრი; ლექცია 16 - წრფივი განტოლება. ერთადერთი მითითებული სავალდებულო სახელმძღვანელო არის ” ს. თოფურია, გ აბესაძე, მათემატიკა, 1991”, რომლის ანოტაციაში წერია: „განკუთვნილია როგორც სახელმძღვანელო მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში შემსვლელთათვის, ხოლო როგორც დამხმარე სახელმძღვანელო დიდად სასარგებლო იქნება საშუალო სკოლებისთვის. წიგნი გამოადგება აგრეთვე ყველას, ვინც მათემატიკის სასკოლო კურსითაა დაინტერესებული”. აღნიშნული არ შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში (პ.4, პ.2) არსებულ ჩანაწერს „ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება”.



საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, განაცხადა, რომ თოფურიას წიგნი დაწერილი იყო 1991 წელს, შესაბამისად მაშინ სკოლაში იყო უფრო მაღალი დონე.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ დასახელებული არგუმენტი ვერ იქნებოდა რელევანტური, რადგან არ ჰქონდა მნიშვნელობა როდის იყო დაწერილი თოფურიას წიგნი, რადგან იგი ყველა შემთხვევაში, სკოლის საკითხებს ითვალისწინებდა.

2.8 საწარმოო პრაქტიკა

2.8.1 დაწესებულების რექტორის ბრძანებით (№2/25) დამტკიცებული „სტუდენტის პრაქტიკის დებულების“ თანახმად, „პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება პრაქტიკის სილაბუსით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის ინდივიდუალური დაგალებების შინაარსი და ვადები, პრაქტიკის გავლის თანმიმდევრობა დროის ფორმატში, პრაქტიკის კონტროლის სახეები, სტუდენტის მიერ პრაქტიკის ანგარიშის მომზადების და დაცვის ვადები“, ასევე მითითებულია, რომ „პრაქტიკის მაღალორგანიზებულად წარმართვის მიზნით უნივერსიტეტის ამოცანაა სტუდენტის პრაქტიკის წარმართვა წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით“. ამავე დროს, წინასწარ შედგენილ და დამტკიცებულ პრაქტიკის სილაბუსში ეს ინფორმაცია არ არსებობს და არც სილაბუსის სტრუქტურით არის გათვალისწინებული მისი მითითების აუცილებლობა;

2.8.2 პრაქტიკის დებულების და სილაბუსის თანახმად, პრაქტიკის ხელმძღვანელი და მენტორი ადგენენ „დახასიათებას, რომელშიც აღწერილია სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროცესში გამოვლენილი უნარ-ჩვევები“, თუმცა არც დებულებაში და არც სილაბუსში არ არის მითითებული, თუ როგორ ხდება „პრაქტიკის პროცესში გამოვლენილ უნარ-ჩვევებზე“ დაკვირვება;

2.8.3 სილაბუსში მითითებულია, რომ შეფასების 100 ქულიდან „60 ქულა არის პრაქტიკის ობიექტზე გაწეული საქმიანობის შეფასება, ანგარიშის წარდგნა, ხოლო 40 ქულა დასკვნითი გამოცდა“ და მასზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც „პრაქტიკის პერიოდში გათვალისწინებული 60 ქულიდან გადალახული აქვს მინიმალური ზღვარი 11 ქულა“. 60 ქულა დაყოფილია კომპონენტებად: პრაქტიკის ობიექტზე გამოცხადება - 10 ქულა, სამუშაო პროცესში ჩართულობა - 40 ქულა, პრაქტიკის დღიურის წარმოება - 10 ქულა. პრაქტიკის დებულებაში და სილაბუსში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება: რამდენჯერ უნდა გამოცხადდეს სტუდენტი პრატიკის ობიექტზე 10 ქულის მისაღებად პრაქტიკის ობიექტზე მუშაობისთვის განკუთვნილი 115 საკონტაქტო საათის პირობებში და რა ქულით შეფასდება მისი თითოეული გამოცხადება, როგორ შეძლებს ჩართულობაში მაქსიმალური 40 და 40-ზე ნაკლები ქულების მიღებას და საბოლოო ჯამში იმ მინიმალური ქულის დაგროვებას, რომელიც აუცილებელია დასკვნით გამოცდაზე (პრაქტიკის ანგარიშის დაცვაზე) დასაშვებად. შუალედური შეფასების სამიდან 2 შეფასებაში ქულების გრადაციის არარსებობის გამო არ დგინდება თუ როგორ მოხდება კრედიტის მისაღებად აუცილებელი მინიმალური დადებითი შეფასების (51 ქულის) ფორმირება, როგორ გაიმიჯნება უარყოფითი შეფასებები Fx (დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება) და F (პრაქტიკა ახლიდან აქვს გასავლელი) და როგორ მოხდება სხვადასხვა არამაქსიმალური შეფასებების მისაღაება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემასთან.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა მოცემულ შემთხვევაშიც სხვადასხვა აქტებს შორის შეუთავსებლობა.

ექსპერტმა განმარტა, რომ შინაარსის შეუთავსებლობა მოცემულ შემთხვევაში არ იყო აქტუალური, რადგან ინფორმაცია საერთოდ არ იყო ასახლი სილაბუსში.



თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა ჩამოთვლილი ინფორმაცია მითითებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში. ექსპერტმა განაცხადა, რომ ინფორმაცია საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში არ იყო მითითებული. დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა ექსპერტს.

საბჭომ მოითხოვა სილაბუსი გადამოწმების მიზნით. აღნიშნული მოთხოვნის შემდგომ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია არ იყო სილაბუსში ასახული და არც უნდა ყოფილიყო. საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, განაცხადა, რომ გაუგებარი იყო წარმომადგენლის განცხადებები, რადგან იგი თავად ამტკიცებდა მცირე ხნის წინ, რომ სილაბუსში იყო ინფორმაცია. საბჭომ გადამოწმების შემდეგ დაადასტურა ექსპერტის შენიშვნის მართებულობა.

2.8.4 სილაბუსში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია დასკვნით გამოცდაზე დაშვების მინიმალური ზღვარის შესახებ: „პრაქტიკის დაცვაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც პრაქტიკის პერიოდში გათვალისწინებული 60 ქულიდან გადალახული აქვს მინიმალური ზღვარი 11 ქულა“ და „დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც პრაქტიკის პერიოდში გათვალისწინებული 60 ქულიდან გადალახული აქვს მინიმალური ზღვარი 21 ქულა“. შესაბამისად, გაუგებარია, თუ რამდენი ქულა უნდა დააგროვოს სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად; ასევე, გამოცდაზე დასაშვებად მინიმალური 21, დასკვნითი გამოცდის 40 და ჯამში 61 ქულის შემთხვევაში დარღვეული იქნება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით განგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების (მ.4, პ.5) პირობა: „დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა“.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, 11 და 21 ქულა დაფიქსირებული იყო ერთ სილაბუსში, თუ სხვადასხვა სილაბუსში იყო მითითებული სხვადასხვა მინიმალური ზღვარი.

ექსპერტმა განმარტა, რომ ორივე ქულა (11 და 21) დაფიქსირებული იყო ერთი და იმავე სილაბუსში.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ორი განსხვავებული მინიმალური ზღვარის არსებობა, ბუნებრივია, გამორიცხული იყო. ექსპერტი დაეთანხმა თავჯდომარეს და განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ იყო დაფიქსირებული შესაბამისი შენიშვნა.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, განსხვავდებოდა თუ არა ერთმანეთისაგან პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და დასკვნითი გამოცდა.

ექსპერტმა განმარტა, რომ ორივე ტერმინს იდენტური მნიშვნელობა ჰქონდა და გამოიყენებოდა, როგორც სინონიმი.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა ექსპერტს და განაცხადა, რომ 11 ქულა იყო პრაქტიკის დაცვაზე დაშვების წინაპირობა, ხოლო 21 ქულა - დასკვნით გამოცდაზე დაშვების.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ, განაცხადა, რომ საბჭოს გაუჭირდებოდა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტების გაზიარება, რადგან ზოგადად, ეს ორი ტერმინი დამკვიდრებული იყო, როგორც იდენტური მნიშვნელობის მქონე ტერმინები, ამასთან თავად დაწესებულების სილაბუსიდანაც ჩანდა, რომ დაწესებულებაც იდენტური მნიშვნელობით იყენებდა ამ ცნებებს. საბჭოს წევრმა მოიყვანა ციტატა სილაბუსიდან:



„დასკვნითი გამოცდა (პრაქტიკის ანგარიშის დაცვა)“. ამდენად, საბჭომ გაიზიარა ექსპერტის შეფასება.

2.9 საკურსო ნაშრომი - ბიზნესის ადმინისტრირების და საექირო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში სილაბუსში მითითებულია, რომ „საკონტაქტო საათები სულ 15 სთ., აქედან ნაშრომის დაცვა 5 სთ“. შესაბამისად, სემესტრის განმავლობაში საკონტაქტო საათები შეადგენს 10 სთ-ს. სილაბუსში მითითებულია, რომ „სტუდენტი მოვალეა ხელმძღვანელს შეხვდეს 20-ჯერ“ შუალედური შეფასების (60 ქულის) მისაღებად. სილაბუსში და რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საკურსო ნაშრომის შესრულების, დაცვის და შეფასების ინსტრუქციაში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება:

2.9.1 როგორ მოხერხდება 10 საკონტაქტო საათის პირობებში 20-ჯერ ხელმძღვანელთან შეხვედრა და რამდენ წუთიანი არის თითოეული;

2.9.2 რეალურად შესაძლებელია თუ ამ მცირე დროში სტუდენტის აქტიურობა, შეკითხვების დასმა და პასუხის გაცემა (როგორც ეს შეფასების კრიტერიუმებით არის გათვალისწინებული) და მისი კომპეტენციების სრულფასოვანი შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ შეფასების გარდა ხელმძღვანელი ასევე „ვალდებულია დაგეგმოს და აკონტროლოს სტუდენტის მუშაობა“ და შეფასების მიზნით შეამოწმოს გაითვალისწინა სტუდენტმა მისი შენიშვნები თუ არა და ა.შ.

2.10 ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია, რომ დასკვნითი გამოცდები ტარდება XVIII-XIX-XX კვირას და XXI კვირას ინიშნება განმეორებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდიდან არა ნაკლებ 10 დღის შემდეგ. 10-დღიანი შუალედიდან გამომდინარე დასკვნითი გამოცდები შეიძლება ჩატარდეს არა ზოგადად XX კვირას, არამედ ამ კვირის მხოლოდ ორშაბათს-ოთხშაბათს, რადგან სხვა შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ჩატარდება არა XXI, არამედ მომდევნო კვირას, რომელიც არ შედის სემესტრის ვადებში - ამით ირლევა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (მ.4, პ.9) მოთხოვნა: „სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასკვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში)“.

თავვადომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი დააფიქსირებდა საკუთარ აზრს ყველა შენიშვნასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრების ან გარკვეული აღნიშვნის/დაზუსტების არსებობის შემთხვევაში. აღნიშნულ შენიშვნებთან მიმართებით კი, მას არ გააჩნდა განსხვავებული მოსაზრებები და ეთანხმებოდა ექსპერტის შეფასებას.

2.11 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი:

2.11.1 სტუდენტის საქმიანობაში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკა - კლინიკური უნარების გამომუშავება, რაც არაადეკვატურია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკასთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

2.11.2 მითითებულია, რომ „პროგრამა იძლევა საშუალებას სტუდენტმა გაიღრმავოს ცოდნა არჩევით კურსებში 6 კრედიტის ფარგლებში“, რაც შეუძლებელია, რადგან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი 5-კრედიტიანია და სტუდენტი ვერ გაიღრმავებს ცოდნას 6 კრედიტის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას სურდა განმარტების მიცემა 2.11.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, კერძოდ, მისი განმარტებით დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომა და „6“-ის ნაცვლად მითითებული უნდა ყოფილიყო „60“.



2.12 საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) არ შეიცავს ინფორმაციას სტუდენტების შეფასების წესების შესახებ, რასაც მოითხოვს „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი სტანდარტი (მ.9, „ბ“ პუნქტი).

2.13 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში:

2.13.1 კომუნიკაციის უნარი არ შეესაბამება უმაღლესი განათლების I საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს: კურიკულუმში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია ინგლისურ ენაზე კომპლექსური საკითხის ფორმირება, სპონტანული საუბარი, არგუმენტების მოყვანა და ა.შ., მაგრამ არ არის მითითებული, რომ მას ასევე შეუძლია სპეციალისტებისთვის ინფორმაციის გადაცემა; მითითებულია, რომ კურსდამთავრებული „იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს“ მაშინ, როდესაც საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს „თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების“ შესაძლებლობა;

2.13.2 საექინო საქმის საბაკალავრო და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამების შემთხვევაში ვერ იქნება მიღწეული უცხო ენაზე შესაბამისად სპეციალისტებთან/აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება, რადგან ამ საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ინგლისური ენის სასწავლო კურსები არ ითვალისწინებენ სპეციალური ტერმინოლოგიის შესწავლას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით ექსპერტს და საბჭოს, შეუშლიდა თუ არა სპეციალური ტერმინოლოგიის არცოდნა სტუდენტს კომუნიკაციაში ხელს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სპეციალური ტერმინოლოგიის არცოდნის შემთხვევაში სტუდენტს ხელი შეეშლებოდა პროფესიულ კომუნიკაციაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ დასახელებულ შემთხვევაში, კურსი ვერ გადიოდა კომუნიკაციის კუთხით სწავლის შედეგზე.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაჟიანმა, მიმართა კითხვით ექსპერტს დაწესებულებას თავად ჰქონდა თუ არა მითითებული სილაბუსში პროფესიული კომუნიკაცია, როგორც სწავლის შედეგი.

ექსპერტმა განმარტა, რომ სილაბუსის თანახმად, მიღწეული იქნებოდა უცხო ენაზე შესაბამისად სპეციალისტებთან/აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება. ამასთან, სილაბუსში რომ არ ყოფილიყო მსგავსი ჩანაწერი, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოვიდოდა კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ვერ ხედავდა მოცემულ შემთხვევაში პრობლემას და ხარვეზის საფუძველს, რადგან დაწესებულებაში მოქმედებდა „დაწესებულები კანონი“ კველა მასწავლებელი ისედაც ასწავლიდა სტუდენტებს სპეციალურ ტერმინოლოგიას და მოჰქონდა შესაბამისი დამატებითი ლიტერატურა ლექციაზე.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების არგუმენტაცია არასერიოზული იყო და ვერ იქნებოდა საბჭოს მიერ გაზიარებული.

2.14 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში - თავი 6. „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და აღდგენა“ (პ.4) მითითებულია, რომ:

2.14.1 „დაწესებულების სტატუსშეწყვეტილი სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში სწავლის გაგრძელების დასაშვები სემესტრი განისაზღვრება გადაყვანის წესით სტუდენტის



ჩარიცხვისათვის დადგენილი წესების შესაბამისად”, რაც არ შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №10/ნ ბრძანებას (მ.3, პ.5,6) ”სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაცემთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით”, ხოლო „სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, რაში ხედავდა იგი პრობლემას.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება დასაშვებად მიიჩნევდა სტატუსშეწყვეტილი სტუდენტის აღდგენას.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ იგულისხმებოდა აღნიშნულ ჩანაწერში, სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში, სტატუსის აღდგენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩანაწერი გულისხმობდა არა სხვა -, არამედ ამავე დაწესებულებაში სტატუსის აღდგენას.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ცალსახად სახეზე იყო ხარვეზი.

2.14.2 სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (თ.12) მითითებულია, რომ „სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი უნივერსიტეტური ხარისხი, უფლება ეძღვევა დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო სემესტრების განმავლობაში”, ამასთან

2.14.2.1 მოქმედი კამონმდებლობა არ ითვალისწინებს ტერმინს „უნივერსიტეტური ხარისხი” და გაუგებარია თუ რა იგულისხმა დაწესებულებამ;

2.14.2.2 არ არის მითითებული რამდენი სემესტრითაა შესაძლებელი სწავლის გაგრძელება, ასევე არ არის მითითებული, რომ სტუდენტის წლიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც სახეზე იყო მნიშვნელოვანი ხარვეზი.

2.14.3 მოქმედ რეგულაციებში მოცემული ინფორმაცია არ ემთხვევა ერთმანეთს, ასე „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” (თ.4) მიხედვით სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებში არ მოიაზრება სტუდენტთა ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესაძლებლობა, რაც გათვალისწინებულია დაწესებულების დებულებაში (მ.29) როგორც ერთ-ერთი სანქცია: „სტუდენტთა ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი”.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით ექსპერტს, რატომ იყო დაწესებულება ვალდებული, რომ დამტკიცებული ჰქონდა ეთიკის კოდექსი.

ექსპერტმა განმარტა, რომ მსგავსი ვალდებულება არსებობდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ამასთან მოცემულ შემთხვევაში, საგულისხმო იყო ის, რომ დაწესებულებას თავისივი რეგულაციაში ჰქონდა მითითებული „სტუდენტთა ეთიკის კოდექსი“, რომელიც რეალურად არ არსებობდა.



დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთიკის კოდექსი ვერ იარსებებდა, რადგან ეთიკის კოდექსის წორმატიული რეგულაცია რთული იყო.

2.14.4 დაწესებულების დებულებაში (მ.27, პ.11) მითითებულია, რომ „სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში”, თუმცა დებულებაში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდება თუ რა მოიაზრება ამ „სხვა შემთხვევებში”;

2.14.5 დებულებაში (მ.27, პ.6, 9) მითითებულია, რომ „სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება განხორციელდება უნივერსიტეტის დებულებაში გათვალისწინებული წესით” და „დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ... უნივერსიტეტის დებულებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს”, თუმცა დებულებაში ეს წესები აღწერილი არ არის, მითითებულია მხოლოდ, რომ ყველა მტკიცებულება, უნდა გამოიკვლიოს უნივერსიტეტის არანაკლებ 3 კაციანმა დისციპლინარულმა კომისიამ;

2.14.6 დაწესებულების დებულებაში (მ.29) მითითებულია, რომ სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული ეთიკური წორმების დარღვევის შემთხვევაში სადისციპლინო კომისიამ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა სანქციები - „ზეპირი გაფრთხილება, წერილობითი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით და სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი მიმდინარე ერთი სემესტრის მანძილზე და მიეცეს რეკომენდაცია სხვა უნივერსიტეტში გადასვლაზე” - არც დებულებაში და არც სხვა რომელიმე წესში (დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ეთიკის კოდექსი) არ არის მითითებული თუ რა მოიაზრება „ეთიკური წორმების დარღვევაში”, რა დისციპლინური დარღვევისთვის იქნება გამოიყენებული მითითებულიდან ერთ-ერთი სანქცია და არის თუ არა ის დისციპლინური გადაცდომის პროპორციული.

2.14.4 - 2.14.6 ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის (მ.43, პ.7) მოთხოვნა: „სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეიმუშაოს სტუდენტის ეთიკის კოდექსი, რომელიც შესაძლებელია აწესებდეს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას”.

დაწესებულების წარმომადგენელმა არ ისურვა მოსაზრებების დაფიქსირება. საბჭომ აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო ფაქტობრივი გარემოებები და გადავიდა სტანდარტის შემდეგი ნაწილის განხილვაზე.

3. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

3.1 დაწესებულების სასწავლო ფართი არ არის აღჭურველი შესაბამისი ინვენტარით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ შენობა-ნაგებობა რეალურად არ არის გათვლილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმინობის განხორცილებისათვის. კერძოდ, ფართის უდიდესი ნაწილი (ფაქტობრივად 2/3) არის დამხმარე ხასიათის (სააქტო დარჩაზი, ადმინისტრაციის ოთახები, დერაფანი, სევლი წერთილები, კიბის უჯრედები და ა.შ.). რაც შეეხება სასწავლო ფართს, რომელიც წარმოდგენილია 13



აუდიტორის (მათ შორის, საკონფერენციო დარბაზი) სახით, არის მცირე ზომის (მაგ.: 10-19 კვ.მ), რაც უფრო კაბინეტური ხასიათისაა და არა საგანმანთლებლო საქმიანობის განსახორციელებლად გამოსადეგარი. გარდა ამ აუდიტორიებისა, დაწესებულებას კიდევ 2 ოთახი მოწყობილი აქვს როგორც აუდიტორია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოთახი (განთავ-რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა ჩათვლილი, როგორც სასწავლო აუდიტორია.

ინვენტარის უდიდესი ნაწილი მოძველებულია და არ შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დაწესებულ თანამედროვე მოთხოვნებს. დაწესებულება გეგმავს განახორციელოს მირითადად ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები (როგორც აკადემიური უმაღლესი, ისე პროფესიული განათლების საფეხურებზე), რისი საჭირო ინვენტარი, სამედიცინო კაბინეტები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა დაწესებულებას არ გააჩნია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო ფოტო მასალა, რომელიც ასახავდა დაწესებულების შიდა ინტერიერს.

თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, რაში მდგომარებოდა შენიშვნის არსი იმ ნაწილში, როდესაც ექსპერტმა ხაზი გაუსვა კაბინეტურ განლაგებას.

ექსპერტმა განმარტა, რომ მსგავსი ინფორმაციის დაფიქსირება ეხმიანებოდა შეფასების იმ ნაწილს, რომელიც გულისხმობს, რომ დაწესებულებას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სასწავლო გარემო, მოცემულ შემთხვევაში კი, კაბინეტური განლაგება ვერ იქნებოდა გამოსადეგი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, რამდენი სასწავლო აუდიტორია იყო დაწესებულებაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯამში არსებობდა 13 აუდიტორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაკონკრეტა, რომ სასწავლო ფართი შეადგენდა ჯამში 630 კვადრატულ მეტრს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ თვითშეფასებისაგან განსხვავებით დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფმა სააქტო დარბაზი არ ჩაუთვალა სასწავლო ფართად, რადგან იქ განთავსებული იყო მხოლოდ სცენა და არ არსებობდა შესაბამისი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო რაიმე სახის ინვენტარი, მათ შორის, არც მერხები. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ სხვა დარბაზი, სადაც არსებობდა მინ. პროექტორი დაწესებულებას სასწავლო ფართში ჩაეთვალა.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, რამდენი კომპიუტერი იყო დაწესებულებაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სულ დაწესებულებას გააჩნდა 23 ცალი კომპიუტერი, აქედან 10 ცალი განთავსებული იყო კომპიუტერულ კლასში.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ კონტიგენტის განსაზღვრის თაობაზე მსჯელობის შემთხვევაში, საბჭო ხელახლა მიუბრუნდებოდა მატერიალური რესურსის პარამეტრების განხილვას.

3.2 დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტების გასავლელად გაფორმებული აქვს მემორანდუმი რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებასთან, თუმცა მემორანდუმებიდან არ ირკვევა რეალურად რამდენი სტუდენტი, რა ფორმით და როგორ გაივლის პრაქტიკას. წარმოდგენილი მემორანდუმები ძირითადად ეფუძნება დეკლარაციულ პუნქტებს, შესაბამისად, ადგილზე შესაბამისი ინვენტარის არარსებობა, შეუძლებელს ხდის პრაქტიკული კომპონენტების რეალურ შესწავლას.

3.3 დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა გადამოწმდა შერჩევის წესით. შემოწმების დროს ვერ მოიძებნა სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სახით მითითებული, რიგ შემთხვევაში კი ერთადერთი, სახელმძღვანელოები, მაგ.: კალკულუსი 1 და 2 - სხვიტარიძე და სხვ. მათემატიკა ეკონომისტებსთვის, 2005.; ინგლისური ენა 4 - Total English. Advansed. 2007. Wilson; ინგლისური ენა 3 - Total English. Upper Intermediate. Student Books, Work book. Richard Acklam, Araminita Crace. 2006. და სხვ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წიგნები არსებობდა ელექტრონული სახით, ვიზიტის დროს ისინი ვერ მოიძებნა, ხოლო შემდეგ დაწესებულებამ მოძებნა შესაბამისი ელექტორნული მატარებლები (CD - დისკი).

თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, შეეძლო თუ არა მას საბჭოსათვის შესაბამისი ელექტორნული მატარებლების გადაცემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან საჭიროდ არ ჩათვალა საბჭოს სხდომაზე ელექტორნული მატარებლის წამოლება, თუმცა საბჭოს სურვილის შემთხვევაში, შეეძლო მცირე დროში მათი მოტანა.

3.4 დაწესებულებას რექტორის 2013 წლის 27 მაისის №2/18 ბრძანებით დამტკიცებული აქცს დოკუმეტი სახელწოდებით: შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას განვითარების გერელვადიანი (ექსტრლიანი) და მოკლევადიანი ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი არ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმის აუცილებელ კომპონენტებს. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგია არის მიდგომა, რომელსაც ირჩევენ დაწესებულებები სამომავლოდ დასახული მიზნების მისაღწევად. სტრატეგიაში განისაზღვრება დაწესებულების გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, ამ მიზნების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. სტრატეგიამ უნდა აჩვენოს რა სურს დაწესებულებას, საით მიდის და როგორ შეიძლება ამის გაკეთება. სტრატეგია მოიცავს როგორც მიზნის მიღწევის საშუალებებს, ისე მის შედეგებს. ამ თვალსაზრისით სტრატეგია არის ჩანაფიქრის დეკლარირება. სტრატეგიაში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის გზები. სტრატეგიამ უნდა უკარნახოს დაწესებულებას გამიზნულ ქმედებები დასახული მიზნის მისაღწევად. შესაბმისად სტრატეგია თავისი არსით წარმოადგენს არსებითი საშუალებებისა და შედეგების სტრუქტურას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არც სტრუქტურულად და არც შინაარსით არ არის თანმიმდევრული და ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების ხედვის დეკლარირებას მისი განვითრების დინამიკის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სურვილთა გრძელი ჩამონათვალი, რომელიც არ მოიცავს ისეთ სავალდებულო კომპონენტებს, როგორებიცაა: რატომ გაუჩნდა დაწესებულებას კონკრეტული ე.წ. სურვილი? როდის გეგმავს მის რეალიზებას? რა მატერიალური და ადამიანური რესურსის საფუძველზე დაყრდნობით? როგორ წარმოუდეგნა მისი მოსალოდენები შედეგი და ა.შ.

გარდა იმისა, რომ მთლიანად დოკუმენტი არ შეიცავს სტრატეგიული განვითარების გეგმისათვის აუცილებელ არცერთ კომპონენტს, მასში არის დეკლარირებული ისეთი სახის აქტივობები, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების არარსებობის პირობებში არის ალოგიკური, ვერ განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის გარეშე და არის საავტორიზაციო ვიზიტის მომენტისთვის დაწესებულების სტატუსის შესაბამო, ასე მაგალითად, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დაწესებულება აცხადებს, რომ



2013 წელს აგვისტოში გეგმავს მობილობით სტუდენტების მოზიდავას; 2013 წელს გეგმავს სტუდენტური ღონისძიების დაფინანსებას; 2013 წელს გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და ა.შ..

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას ამ საკითხზე კომენატარი არ გააჩნდა და ეთანხმებოდა ექსპერტის შეფასებას.

4. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

4.1 დაწესებულებაში რექტორის ბრძანებებით (№2/6, 28.03.2013 და №2/26, 30.08.2013) გამოცხადდა და ჩატარდა ორი კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. პირველი კონკურსის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იყო 26, ხოლო მეორე შემთხვევაში - 9 პირი. აღსანიშნავია შემდეგი:

4.1.1 პირველი კონკურსის შემთხვევაში სრული პროფესორის პოზიციაზე არჩეული იყო არჩილ ხომასურიძე, რომელიც ამჟამად არის თსუ-ს სრული პროფესორი, და ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე ზურაბ ბერიძე, რომელიც ამჟამად არის აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი. დაწესებულებამ წარმოადგინა ამ პირების ხელწერილები, რომლებიც ადასტურებდნენ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე დარჩენის არჩევანს;

4.1.2 მეორე კონკურსის შემთხვევაში რექტორის ბრძანებით საკონკურსო საბუთების განხილვა დაევალა კომისიას, რომლის წევრი - ემა ახტიანი თავად მონაწილეობდა კონკურსში სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში ის არ არის მითითებული, როგორც კომისიის წევრი, მაგრამ ამავე დროს არ არსებობს რექტორის ბრძანება საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით ექსპერტს, იცოდა თუ რა ექსპერტმა მისი ვინაობა. წარმომადგენელმა აქვე აღნიშნა, რომ იგი გახლდათ ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი და გამოთქვა მწუხარება იმასთან დაკავშირებით, რომ ვიზიტის დროს მას არ მიეცა ექსპერტთან გასაუბრებისა და მისთვის საკუთარი თავის წარდგენის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება, რადგან პირველ რიგში, ამ უკანასკნელს თავად უნდა გამოეჩინა ექსპერტთან გასაუბრების ინიციატივა, რადგან ექსპერტი მას პერსონალურად, ვერ გაეცნობოდა; ამასთან, განსახილველი თემა აქტუალური იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ დაწესებულების წარმომადგენელს ექსპერტთან კომუნიკაციის არქონის გამო (თუნდაც მისივე „ბრალით“) ხელი შეეშლებოდა. საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, შეეშალა თუ არა მას ხელი ექსპერტთან კომუნიკაციის არქონის გამო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას ხელი არაფერში შეშლია, უბრალოდ აღნიშნა ფაქტი, როგორც დასანანი.

ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს, დაწესებულების მიერ გამოყოფილი იყო საკონტაქტო პირი, რომლის მეშვეობითაც ექსპერტები ამყარებდნენ დაწესებულებასთან საჭირო კომუნიკაციას; კონკურსულად ბიზნესის ფაკულტეტის დეკანთან გასაუბრების აუცილებლობა ექსპერტთა წინაშე არ დამდგარა.

4.2 აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება არ შეესაბამება საქართველოს ორგანულ კანონს



„შრომის კოდექსი“. კერძოდ, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით რეგულირდება განსხვავებულად, ვიდრე რეგულირდებოდა დაწესებულების მიერ დასაქმებულთან ხელშეკრულების გაფორმების დროს (17-20.05.2013). შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ, ოფიციალურად გამოქვეყნდა 2013 წლის 04 ივლისს, რომლის თანახმად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგნილ წესს, რადგან მასში სრულყოფილად არ არის განსაზღვრული შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები. ხოლო შრომის კოდექსის ახალი რედაქციის თანახმად, ხელშეკრულება, რომელიც არ შეიცავს არსებით პირობებს სრულყოფილად ბათილია. ამასთანვე უნდა აღინიშნოს რომ მოქმედი შრომის კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, შრომითი კოდექსის მოქმედი შინაარსი ვრცელდება არსებით ხელშეკრულებებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა. გარდა ამისა, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტი ე.წ. „შრომის შინაგანაწესი“, შესაბამისად ექსპერთა ჯგუფის მიერ ვერ მოხდა ისეთი უმნიშვენლოვანესი საკითხების გარკევევა, როგორიცაა: სამუშაო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური მუშაობის პირობები და წესი, პერსონალის კვირის განამავლობაში საათობრივი დატვირთვის მაქსიმუმი და ა.შ.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა კითხვით ექსპერტს, არსებობდა თუ არა დანიშვნის აქტები. ექსპერტმა განაცხადა, რომ დანიშვნის აქტები არსებობდა, თუმცა არ არსებობდა შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულების დადების დროს, შრომის კოდექსში ექსპერტის მიერ დასახელებული მოთხოვნები არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენელს, რადგან მაგალითად, სამუშაო დროის შესახებ ინფორმაციის მითითების ვალდებულება შრომის კოდექსში ბოლო ცვლილებებამდეც იყო დაფიქსირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო შენიშვნის არსი.

საბჭო გადავიდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ხარვეზების განხილვაზე.

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

5.1 დაწესებულების დებულებაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელის-რექტორის, უფლებამოსილებაში განსაზღრულია რექტორის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ვალდებულება. იმავე დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს პროფესიული მასწავლებლების საბჭო. თუმცა იმავე დებულების 31-ე მუხლი, რომლის სათაურია „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, სხვაგვარად განმარტავს პროგრამის შემუშავების პროცედურას, კერძოდ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „უნივერისტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული მასწავლებლის და პრაქტიკის ობიექტის/დამსაქმებლის წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით, პროგრამა განიხილება პროფესიულ მასწავლებლთა საბჭოზე, შეფასებას გადის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და განსახილველად წარედგინება აკადემიურ საბჭოს,



აკადემიურ საბჭოზე განხილვის შემდეგ რექტორი გამოსცემს მრანებას პროგრამის დამტკიცებაზე“.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოადგენილი იქნა პროფესიული პროგრამები, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2013 წლის 28 მაისის №2/20 ბრძანებით, თუმცა არ იქნა წარმოდგენილი სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა დაწესებულების მიერ საკუთარი დებულებით განსაზღვრულ სავლდებულო მოთხოვნებსა და პროცედურებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით, რომ არაფერი ვთქვათ თავად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების განსხვავებული რედაქციით არსებობაზე ერთი და იმავე დებულებაში, რომელიც არ იძლევა საშუალებას მოხდეს იდენტიფიცირება ექსპერტის მიერ. დაწესებულებამ პროგრამის შემუშავების დროს, რომელი მუხლით იხელმძღვანელა, შესაბამისად მოახდინოს ამ მუხლის შინაარსის შესაბამისობა დაწესებულების მიერ რეალურად განხორციელებულ ქმედებებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ნაწილში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი შესაბამობის შესახებ, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია 2013 წლის 28 მაისს, ხოლო პროფესიულ მასწავლებელთა საბჭო (რომელიც პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით განხილულ პირველ შემთახვევაში თავად უნდა იყოს პროგრამის შემუშავებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში მუხლი 31 საბჭოს სხდომაზე უნდა განიხილოს წარმოდგენილი პროგრამა) დამტკიცდა 2013 წლის 10 ივნისს, მას შემდეგ რაც უკვე დამტკიცებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

5.2. დაწებულების წარმომადგენლის განცხადებით ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები იდენტური იყო, შესაბამისად, ინგლისურენოვანი პროგრამის შინაარსის გასაცნობად ექსპერტებს უნდა ეხელმძღვანელათ ქართულენოვანი პროგრამის რედაქციით. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობა პროგრამის შინაარსის გაცნობის გარეშე უკვე წარმოადგენს დარღვევას, ვინაიდან შეუძლებლია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების შინაარსი იყოს იდენტური მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ქართულენოვან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის მხოლოდ ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, ხოლო იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა ისწავლოს ინგლისურენოვანი პროგრამით, აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად სავალდებულოდ უნდა განისაზღვროს პირის მიერ ინგლისურის იმ დონეზე ცოდნა, რაც მისცემს მას სრულფასოვნად სწავლის საშუალებას ინგლისურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერთა ჯგუფის წევრებს დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით ინგლისურენოვანი პროგრამის შინაარსი უნდა შეემოწმებინათ მოწოდებული ქართულენოვანი პროგრამით, ექსპერტთა მიერ მაინც შესწავლილ იქნა ინგლისურენოვანი პროგრამა ინგლისურ ენაზე, რომლის თანახმადაც პროგრამაზე დასშვების წინაპირობად მითითებულია ქართული რედაქციის მსგავსად საბაზო საფეხური, ამასთანავე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში არ არსებობს არავითარი რეგულაცია, როგორ ახორციელებს დაწესებულება ინგლისურენოვან პროგრამებს, ვის შეუძლია აღნიშნულ პროგრამებზე სწავლა, ასევე არაფერია ნათქვამი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირების, (ასევე საქართველოს მოქალაქებზე, რომლთაც საზღვარგარეთ მიიღეს საბაზო განათლება) პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ. აღნიშნული გარემოებების ერთობლიობა იძლევა იმგვარ მოცემულობას, რომ პროგრამის ამ რედაქციით არსებობა და საჭირო რეგულაციების არარსებობა ეწინააღმდეგება ავტორიზაციის



დებულებას. აღნიშნული მდომარეობა დაფიქსირდა ასევე ბუღალტრის მე-3 საფეხურის ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებში.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ სთხოვა ინგლისურენოვანი პროგრამის შინაარსის შემოწმება მოწოდებული ქართულენოვანი პროგრამით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიზეზი იყო პროგრამების იდენტურობა.

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, ჰეითხა ექსპერტს, პროგრამა გათვლილი იყო ქართველი სტუდენტებისათვის, თუ უცხოელთათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ქართველ სტუდენტებზე იყო გათვლილი, უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის აღბათობის შემთხვევაში დაწესებულება მზად იქნებოდა ხალახლა გაევლო ავტორიზაცია.

5.3 ექთნის თანაშემწისა და ბუღალტრის პროგრამებში შეფასების სისტემა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანხმად: „პროფესიულ სტუდენტს უფლება აქცე, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბუღალტრისა და ექთნის თანაშემწის პროგრამების თანხმად პროფესიულ სტუდენტს დამტებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაქსიმალური შეფასების 41-50%-ს მიღების შემთხვევაში 10 დღის განმავლობაში.

5.4 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსების ფორმა ერთიანი სისტემით არის შედგენილი და თითოეულ-მათგანში ერთ-ერთი გრაფის (სასწავლო კურსის სტატუსი) გასწვრივ მითითებულია, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო მაშინ როდესაც თავად პროგრამაში არაფერია ნათევამი სავალდებულო და არასავალდებულო სასწავლო კურსების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ თავად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ამ მეთოდით სასწავლო კურსების სტრუქტურიზების შეუძლებლობაზე. ასევე სილაბუსებში პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი რადგან არა მითითებული დამტებით გამოცდაზე გასვლისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო პროცედურები. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ექთნის თანაშემწის პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის გაცნობისას აღმოჩნდა სილაბუსი, რომლის მეორე გრაფაში პროფესიული პროგრამის სახელწიდებები ნაცვლად „ექთნის თანაშემწისა“ მითითებულია მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა“ აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და ექსპერტა მიერ არ იქნა შეფასებული, როგორც ტექნიკური ხასითის შეცდომა, იმდენად რამდენადაც დაწესებულებას საერთოდ არ წარმოუდგენია მასაჟისტის პროფესიული პროგრამა. ამდენად დაუდეგენელია რა საფუძვლით შეიძლებოდა ამგვარი შეუსაბამობის არსებობა მოცემულ სილაბუსში.

5.5 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამივე პროგრამა შეიცვას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ვალდებულებას. დაწესებულების მიერ წარმოდეგენილი პრაქტიკის დებულების 6.3 პუნქტის თანახმად, პრაქტიკაზე დადებითი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ხელახლა გაიაროს პრაქტიკა, აღნიშნული დათქმა ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებას „პროფესიული საგანმანათლებლო



პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”, კურსოდ აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც, პროფესიულმა სტუდენტმა დადებითი შეფასების გარდა შეიძლება მიიღოს ორი სახის უარყოფითი შეფასება: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. გამომდინარე აქედან დაწესებულების პრაქტიკის დებულების 6.3 პუნქტის შინაარსი ცალსახად შეუძლებელს ხდის უარყოფითი შეფასების ეწ. (FX)-ის მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის ჩაბარებას დამატებითი გამოცდის მეშვეობით, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ ეწინააღმდეგება განხილული ბრძანების შესაბამის პუნქტის შინაარსს.

5.6 აღსანიშნავია ისეთი ფაქტობრივი გარემოება, როგორც არის მაგალითად ინგლისურენოვან პროგრამაში ლათინური ასოებით ქართული შინაარსის სიტყვის გამოყენება ნაცვლად მისი ინგლისური თარგმანისა (ციტირება ბუღალტრის მე-3 საფეხურის ინგლისურენოვანი პროგრამიდან: “Gardzelebis learning opportunity.”) იმავე პროგრამაში დატვირთვის საათები არასწორად არის დაანგარიშებული და პრაქტიკის კომპონენტისათვის დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად საათების რაოდენობა საერთოდ არ არის გათვალისწინებული. იმავე ბუღალტრის მესამე საფეხურის ინგლისურენოვან პროგრამაში, გრაფაში რომლის სახელწოდებაა - ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, ვკითხულობთ შემდეგ ჩანაწერს: 3rd level information technology professional program and have appropriate space and material. ისევე როგორც ზემოთ განხილულ პროგრამაში არსებული შეუსაბამოებები, ექსპერთა ჯგუფის წევრებისათვის გაუგებარი და საფუძველმოკლებულია როგორ შეიძლება ბუღალტრის მესამე საფეხურის ინგლისურენოვან პროგრამაში არსებობდეს ჩანაწერი „მე-3 საფეხურის ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი“. აღნიშნული გარემოებები ერთდროულად არალოგიკურია და გამოხატავს დაწესებულების დამოკიდებულებას საგანმანათლებლო საქმიანობის შინაარსისადმი.

5.7 დაწესებულებაში არსებობს უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) და განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე, თუმცა აღნიშნულ კატალოგში არ არის მოცემული ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ სურდა მას საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა აზრის დაფიქსირების სურვილი. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, საბჭო მზად იყო გასულიყო სათათბიროდ.

21 საათსა და 51 წუთზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 22 საათსა და 21 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიასათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.



კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ ვიტა ჯორჯიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 400073193) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.



6. შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე- თეა ნადირაძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 თეა ნადირაძის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამითა და თანდართული სილაბუსებით განსაზღვრულია დასწრების შეფასება – „დასწრება 5 ქულა, აფასებს მხოლოდ ლუქციაზე დასწრებას“. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეფასების სისტემით განსაზღვრულია სტუდენტის შეფასების პრინციპები, მათ შორის აღნიშნულია, რომ კრედიტის მოპოვება (კრედიტის მინიჭება მოიცავს შეფასების პროცესს) შესაძლებელია სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევით. ქულის მინიჭება უნდა ხდებოდეს სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასებით, ცოდნის დადასტურების შედეგად. ლუქციაზე, მხოლოდ, დასწრება არ ნიშნავს სტუდენტის მიერ სამუშაოს შესრულებას. აქედან გამომდინარე, პროგრამებში გაწერილი შეფასების კრიტერიუმი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მესამე მუხლის მესამე ნაწილს – „კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა უფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენლი სწავლის შედეგის მისაღწევად“ და მეოთხე მუხლის მეორე ნაწილს – „სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება...“

საბჭოს წევრმა, ლელა ქელბაქიანმა, მიმართა ექსპერტს მოკლედ წარმოედგინა ხარვეზის შინაარსი, რაზეც თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას დასწრება შეტანილი ჰქონდა შეფასებაში.

1.2 დაწესებულების ბაკალავრიატის დებულებით განსაზღვრულია ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის მოცულობა გამოსახული სემესტრთა რაოდენობაში. აქვე აღნიშნულია, რომ ერთი სემესტრი მოიცავს „20 კვირას, აქედან 15 კვირა ეთმობა სასწავლო პროცესს, ერთი კვირა შუალედურ გამოცდას, ერთი კვირა პრეზენტაციას/დასკვნით ამოცანას და შუალედური გამოცდის აღდგენას, სამი კვირა დასკვნით გამოცდას და დამტებით გამოცდას.“ საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში მითითებულია, რომ



დასკვნითი გამოცდა ტარდება „მეთვრამეტე კვირიდან“, ხოლო სილაბუსების გრაფაში – „კურსის შინაარსი“ მითითებულია, რომ მე-18 კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა, ეს ნიშნავს, რომ სემესტრში სასწავლო კვირათა რაოდენობაა 18, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ №3 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს.

ლელა ქელბაჯიანმა დააზუსტა, თუ რაში მდგომარეობდა პრობლემა, თუ სასწავლო კვირების რაოდენობა 20 იყო.

თევა ნადირაძის განცხადებით, იმ 3 კვირიდან, რომელიც გამოცდებს ეთმობოდა დასკვნითი გამოცდა ტარდებოდა მე-18 და არა მე-20 კვირას.

საბჭოს წევრმა, დავით კიკალეიშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნული რეგულაციით დაწესებულების მიერ მე-18 კვირის შემდგომი კვირების გამოყენება აღარ ხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, იგი ექსპერტს ვერ დაეთანხმებოდა, რადგან დაწესებულება გამოვიდა „შრომის“, როგორც სამოქალაქო დონეზე განმარტებიდან, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებიდან.

თევა ნადირაძის განცხადებით, შენიშვნაში არ იყო საუბარი შრომაზე, არამედ, სტუდენტის შედეგების შეფასებაზე. ექსპერტის განცხადებით, სტუდენტი შესაძლოა ესწრებოდეს ლექციებს, მაგრამ აღნიშნული არ ადასტურებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, მაშინ რას ემსახურებოდა ბრძანებით გათვალისწინებული ლექციაზე დასწრება.

საბჭოს წევრის, დავით აფრასიძის, განცხადებით, დასწრება არ ნიშნავდა იმას, რომ სტუდენტმა ისწავლა.

დავით კიკალეიშვილის განცხადებით, ლექციაზე მოსმენილის დადასტურება უნდა მოხდეს შემდგომში სხვადასხვა ფორმით.

მეორე შენიშვნასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არც ამ შემთხვევაში ეთანხმებოდნენ ექსპერტებს. მათი განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში მითითებული იყო, რომ სტუდენტის საქმიანობა მოიცავდა გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, მაგრამ არსად იყო აქცენტი გავეთებული, თუ რომელი გამოცდებისათვის მომზადება-ჩაბარება იგულისხმებოდა აღნიშნულ ჩანაწერში.

სხდომის თავმჯდომარე, რევაზ აფხაზავა, დაინტერესდა, თუ ყველამ ჩააბარა დასკვნით გამოცდაზე საგნები, მაშინ რა ხდებოდა, სასწავლო კვირები დასრულდებოდა 18 კვირაში?

დავით კიკალეიშვილის განცხადებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზანი უნდა იყოს ხარისხიანი სწავლების განხორციელება, რაც სასწავლო კვირების შემცირებით ვერ მიიღწეოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, იმავე ლოგიკით, გამოცდა თუ 2 საათიანია და სტუდენტებმა ერთ საათში დაასრულეს იგი, სტუდენტს არასაკმარისი საათების შესრულების გამო კრედიტი არ უნდა მინიჭებოდათ.

ექსპერტის, თევა ნადირაძის, განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის N3 ბრძანება ცალსახად ამბობდა, თუ რამდენი უნდა იყოს მინიმუმი სასწავლო კვირების რაოდენობა. აღნიშნული რეალობა ცდებოდა მინიმალურ ზღვარს და არღვევდა ბრძანებას. ამასთან, თუ გამოცდა 2 საათიანი, მაგრამ კარგი



მოსწრების სტუდენტებმა 1 საათში დაასრულეს გამოცდა, ეს ფაქტი არ უნდა ყოფილიყო მოყვანილი არგუმენტად, რადგან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის N3 ბრძანება მთელ რეგულაციას ამყარებს საშუალო მოსწრების სტუდენტზე და მასზეა გათვლილი. კარგი მოსწრების სტუდენტი საზომად არ უნდა იქნას გამოყენებული.

1.3 საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით სტუდენტთა შეფასებებისას განსაზღვრულია პრეზენტაციის კრიტერიუმები, მათ შორის „0-4 ქულა როცა თემა ვერ პასუხობს მოთხოვნებს, არ არის გამართული, არ არის ლოგიკური, არ არის არგუმენტირება. ან საერთოდ არ არის ჩართული მუშაობის პროცესში. “აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე სტუდენტი ქულით ფასდება არცოდნაში (3 ქულა, 2 ქულა, 1 ქულა), მაშინ როდესაც ქულათა მინიჭება უნდა ხდებოდეს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს რეალური შეფასებით. განსაზღვრული მეთოდოლოგია არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგნილ მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მესამე მუხლის მესამე პუნქტს.

თეა ნადირიაძის განცხადებით, აღნიშნული შენიშვნა მსგავსი იყო 1.1 შენიშვნისა. ამ შემთხვევაში 4 ქულის მინიჭება ხდებოდა სტუდენტის მიერ საკითხის არცოდნაში.

ლელა ქელბაქიანის განცხადებით, საკამათო იყო ეს ჩანაწერი. „არ არის გამართული“ არ ნიშნავდა, რომ საერთოდ არ იყო პრეზენტაცია.

დავით კიკალეიშვილის განცხადებით, დაწესებულების აღნიშნულ რეგულაციაში შეფასების კრიტერიუმებში მითითებული იყო ალტერნატივა „თემა ვერ პასუხობს მოთხოვნებს, არ არის გამართული, არ არის ლოგიკური, არ არის არგუმენტირება ან საერთოდ არ არის ჩართული მუშაობის პროცესში. „ან“ რეგულირება არ ხდიდა ამ შენიშვნას მყარს.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვაში“ სწავლის შედეგად განსაზღვრულია შემდეგი: ცოდნის პრაქტიკის გამოყენების უნარი – სტუდენტს „გააჩნია სოციალურ ურთიერთობებთან, მართვასთან და ფინანსოვიური პრობლემების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ძირითადი უნარები...“. „საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო ვალდებულების შესრულების, საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვისა და საგადასახადო ანგარიშების მომზადების უნარი. იმპორტის გადასახდელების გამოანგარიშებისა და საქონლის დეკლარირების უნარი“. პროგრამაში გაწერილი შედეგები არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის თანდართული სილაბუსების შედეგებს. პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, რაც ნიშნავს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორზაციის დებულებისა და საფასურის შესახებ №99/ნ ბრძანების მე-9 მუხლის „ა“ პუნქტთან.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჯაყელი, დაინტერესდა რა საჭირო იყო ამ პროგრამაში ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული შედეგების მიღწევა.

თეა ნადირიაძის განცხადებით, სწორედ აღნიშნულ შედეგების მიღწევადობა არ დასტურდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში იყო საგალდებულო საგანი მენეჯმენტის საფუძვლები, რომელიც გულისხმობდა ფსიქოლოგიის ცოდნას.

კახაბერ ჯაყელი დაინტერესდა რა ფსიქოლოგიაზე იყო საუბარი საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამაში.



დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზემოაღნიშნულ საგანში იყო თემატიკა, რომლითაც მიიღწეოდა ეს შედეგი. მისი განცხადებით, ფსიქოლოგის საკითხების ცოდნა საჭირო იყო ამ პროგრამაში.

კახაბერ ჯაყულის განცხადებით, აღნიშნული ლოგიკით ფსიქოლოგია ყველა სპეციალობას დასჭირდებოდა, თუმცა მისი აზრით, საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამასა და ფსიქოლოგიას შორის ის პირდაპირ კავშირს ვერ ხედავდა.

თე ნადრიაძის განცხადებით, სასწავლო კურსით ფსიქოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირება ვერ მიიღწეოდა. მისი განცხადებით, საბჭოს შეძლო გადაემოწმებინა სილაბუსები. ექსპერტის აზრით, განსხვავდებოდა ცნება „გაცნობიერება“ და „იდენტიფიცირება“.

ლელა ქელბაძიანის განცხადებით, განმარტება, რომ პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა მას სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით შეუძლია თქვას, მაგრამ არა ამ გარემოების გათვალისწინებით. მისი განცხადებით, როდესაც პროგრამაში არ არის სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური ბმა, მაშინ არის პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურის.

თე ნადრიაძის განცხადებით, სწორედ ლოგიკური ბმა არ იყო აღნიშნული პროგრამაში, რადგან სილაბუსის შედეგები არ იყო პროგრამის შედეგებთან შესაბამისი და პირიქით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული მსჯელობა აკრედიტაციის საბჭოს განსახილველი იყო.

1.5 საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში – „აუდიტის საფუძვლები 1“ და „აუდიტის საფუძვლები 2“ გამოიყენება ერთი და იგივე წიგნი – „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“ (ავტ. გიორგი სახოვაია, ჯემალ ანინიძე). ზემოთ აღნიშნული პირველი საგანი მეორე საგნის წინაპირობაა, შესაბამისად მასში ნასწავლი თემატიკა აღარ უნდა ისწავლებოდეს მეორე ნაწილში. თუმცა, აღინიშნება ორი საკითხის დუბლირება.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რა მოცულობის იყო წიგნი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მესამე რედაქცია ჩაშვებული იყო სტამბაში დასაბეჭდად და იგი 610-გვერდიანი იყო.

ექსპერტების განცხადებით, რაც დაბეჭდილი არ იყო, იმას ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებდა, ხოლო რაც ვიზიტისას ინახა ის, დაახლოებით 350-გვერდიანი იყო.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, იყო თუ არა სხვა წიგნი აღნიშნულ საგანში, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ ერთი სავალდებულო სახელმძღვანელო იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული წიგნი განკუთვნილი იყო სტუდენტებისათვის. ეს წიგნი მხარდაჭერილი იყო საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა). მისი განცხადებით, საგნის ლექტორმა საჭიროდ ჩათვალა, რომ აღნიშნული საკმარისი იქნებოდა.

1.6 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა საბაკალავრო კოლეჯში დადგენილი წესების დაცვით“. აღნიშნული წესი ეწინაღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის“ მე-5 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის



თანახმად, უსდ-ში ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგების საფუძველზე. აღნიშნული წესი ადგენს გამონაკლის, რომელიც შეეხება ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობას. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მაგალითად, უსდ-ში ადმინისტაციული რეგისტრაციის გავლას, როგორც ჩარიცხვის წინაპირობას. ამდენად, კოლეჯი, მსგავსი ჩანაწერით, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობებს და ზღუდავს პირის უფლებებს.

დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა დაწესებულება ამ ჩანაწერში.

დაწესებულების წარმომადგენლის, თემურ წურწუმიას, განცხადებით, დაწესებულება გულისხმობდა სტუდენტის მიერ საბუთების წარმოდგენასა და სწავლის საფასურის ნაწილის გადახდას. მისი განცხადებით, მინისტრის ბრძანება, რანჟირების დოკუმენტი არის ჩარიცხვის წინაპირობა.

ექსპერტის, მარინა გედევანიშვილის, განცხადებით, დაწესებულება ბოლო მოსაზრების გაუღერებისას მართალი იყო, თუმცა საქმე ეხებოდა სტუდენტს, რომელმაც ვერ გადაიხადა სწავლის საფასური, მაშინ რა ხდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ნინო ფურცხვანიძის განცხადებით, დაწესებულების რეგულაციების თანახმად, ტერმინში ადმინისტრაციული რეგისტრაცია იგულისხმებოდა, მხოლოდ, ზანკში სწავლის საფასურის გადახდა და არა საბუთების წარდგენა. ანუ ივარაუდება, რომ საბუთები უკვე წარდგენილია და სტუდენტი ჩარიცხულია, შესაბამისად, ხდება თანხის გადაუხდელობის გამო სტუდენტის ჩარიცხვაზე უარის თქმა. საბჭოს წევრებისათვის წარდგენილი იქნა დასკვნაზე თანდართული დოკუმენტაცია.

თემურ წურწუმიას განცხადებით, სტუდენტი ჩაირიცხებოდა მიუხედავად საფასურის გადაუხდელობისა.

ლელა ქელბაქიანის განცხადებით, ერთმანეთისგან განსხვავდებოდა სწავლის უფლების მოპოვება და დაწესებულებაში ჩარიცხვა. ამ უკანასკნელს სჭირდებოდა სტუდენტის ნების გამოვლენა დაწესებულებისადმი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამაში გათვალისწინებული იყო დაშვების წინაპირობები, სადაც თანხის გადახდა არ იყო მითითებული, როგორც წინაპირობა. ამასთან, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა პირველადი და შემდგომი რეგისტრაციები.

ლელა ქელბაქიანის განცხადებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და ჩარიცხვის წინაპირობა სხვადასხვა საკითხი იყო. მისი განცხადებით, დაწესებულებას, სავარაუდო, არეული ჰქონდა ტერმინოლოგია და მნიშვნელობა.

თემურ წურწუმიას განცხადებით, ისინი არ დაარღვევდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას ჩარიცხვისას.

დავით აფრასიძის განცხადებით, დაწესებულების დოკუმენტებში ეწერა, რომ ჩარიცხვის წინაპირობა იყო ადმინისტრაციული რეგისტრაცია, ხოლო ადმინისტრაციული რეგისტრაცია იყო სწავლის საფასურის გადახდა. მისი განცხადებით, დაწესებულებას ამ რეგულაციაში ჰქონდა შეცდომა.

თემურ წურწუმიას განცხადებით, პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნდა ყოფილიყო ჩაწერილი და არა უბრალოდ, ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

1.7 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,



„საქართველოს მოქალაქეებისათვის საბაკალავრო კოლეჯში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება“. კოლეჯის რეგულაციებში არ ფიქსირდება საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება - მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მაშინ, როდესაც ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეების არმქონე პირთათვის (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-5 მუხლი).

1.8 კოლეჯში გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 22 აგვისტოს №4 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დასკვნითი გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტი, თუ მას სემესტრული აკადემიური აქტიურობით დაგროვებული აქვს 41-50 ქულა, უფლებამოსილია თავის ხარჯზე ისარგებლოს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობით“.

აღნიშნული რეგულაცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“. კერძოდ, მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში). სემესტრული გადასახადის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მიიღოს ყველა ის მომსახურება, რომელიც გათვალისწინებულია სემესტრის ფარგლებში, მათ შორისაა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებაც. დაუშვებელია, ამ მომსახურებისათვის სტუდენტმა დამატებით გაიღოს ხარჯები.

1.9 იმავე დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში, თუ მას სემესტრული აკადემიური აქტიურობით დაგროვებული აქვს 41-50 ქულა, უფლებამოსილია თავის ხარჯზე ისარგებლოს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობით“.

აღნიშნული, ზემოაღნიშნულის მსგავსად ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-9 პუნქტს. მნიშვნელობა არა აქვს სტუდენტი, დასკვნითი გამოცდაზე რა საფუძვლით ვერ მიიღებს შეფასებას (მოხსნილი იქნება გამოცდიდან, თუ ჩაიჭრება), თუ სტუდენტი სემესტრული აკადემიური აქტიურობით აგროვებს 41-50 ქულას, იგი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში და მიიღოს ეს მომსახურება სემესტრული გადასახადის ფარგლებში.

დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ რა თანხაზე იყო საუბარი აღნიშნულ რეგულაციაში.

თემურ წურწუმიას განცხადებით, იგულისხმებოდა თანხის გადახდა, რათა სტუდენტი გასულიყო დამატებით გამოცდაზე. მისი განცხადებით, აღნიშნული ვალდებულება იდებოდა სტუდენტის ხელშეკრულებაში, აგრეთვე, ღია კარის დღეზე ეცნობებოდათ მათ.

ლელა ქელბაქიანის განცხადებით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ბროშურაში, როგორც წესი ის თანხა ეთითება, რაც უკვე დათვლილია დაწესებულების მიერ ყველა



გარემოების გათვალისწინებით და საზოგადოებამ წინასწარ იცის, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს კონკრეტულ დაწესებულებაში, კონკრეტულ პროგრამაზე სწავლისათვის. მისი განცხადებით, სწავლის საფასური მოიცავს ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელ ყველა მომსახურებას.

დავით კიკალეიშვილის განცხადებით, მსგავსი შეზღუდვა არ იყო მართებული.

1.10 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-3 მუხლი იყენებს ტერმინს „აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“. მსგავს ტერმინს არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობა. არსებობს, მხოლოდ, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა. თუ დაწესებულება ამ ჩანაწერში გულისხმობს, რომ მობილობისას მიიღებს, მხოლოდ აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, მაშინ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „უსდ-დან სხვა უსდ-ში გადასვლის წესს“, რომელიც მობილობის უფლების შეზღუდვას აკრედიტებული პროგრამის ან არააკრედიტებული პროგრამის სტატუსით, არ იცნობს.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული შეიძლებოდა ტექნიკურ ხარვეზად შეფასებულიყო.

1.11 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებს შორის არ არის განსხვავება. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა და ფინანსური დავალიანება დაწესებულების აღნიშნული დებულების თანახმად იდენტური შინაარსის პროცედურა. კერძოდ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული რეგისტრაცია არის ბანკში სწავლის საფასურის გადახდა. გაურკვეველია, თუ სხვას რას გულისხმობს ტერმინი ფინანსური დავალიანება.

თემურ წურწუმიას განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება ამბობს, რომ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები განისაზღვრება დაწესებულების წესდებით და აღნიშნული იყო სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები.

ლელა ქელბაჯიანის განცხადებით, დაწესებულებას შიდა რეგულირებით უნდა მოეწესრიგებინა აღნიშნული, თუმცა ეს ჩანაწერი ბუნდოვანი იყო.

1.12 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეჩერების პირობაა „შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის შედეგების მიუღწევლობა“. ბუნდოვანია, თუ რას გულისხმობს ეს ფრაზა. ამ რეგულირების პირობებში შესაძლებელია, თუ სტუდენტმა მაგალითად, პირველ სემესტრში ვერ მოიპოვა შეფასება ერთ-ერთ საგანმი, ჩაითვალოს სასწავლო პროცესის შედეგების მიუღწევლობად და მოხდეს მისი სტატუსის შეჩერება. მსგავსი რეგულაცია მიზანმიმართული დარღვევას სტუდენტებისა.

დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა შედეგების მიუღწევლობაში.

თემურ წურწუმიას განცხადებით, ექსპერტის შეფასება, რომ შეიძლება ერთი საგნის ჩაუბარებლობა გახდეს შეწყვეტის საფუძველი, არ იყო სწორი.



დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, რა რაოდენობა გახდებოდა შედეგების მიუღწევლობის შეფასების ინდიკატორი.

თემურ წურწუმიას განცხადებით, რაოდენობა არ იყო გაწერილი, თუმცა 1 და 2 შემთხვევა არ გახდებოდა შედეგების მიუღწევლობის შეფასების ინდიკატორი.

დავით კიკალეიშვილის განცხადებით, აღნიშნული, დაწესებულების რეგულაციით არ დასტურდებოდა და ამასთან, არც ექსპერტის მიერ დასახული შემთხვევის გამორიცხვა შეიძლებოდა.

1.13 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პირობაა „ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულთა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა“.

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულება ამავე რეგულაციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული აქვს, რომ „სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა საბაკალავრო კოლეჯში დადგენილი წესების დაცვით“. თუ ერთის მხრივ, ჩასარიცხად აუცილებელია ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა და პირმა არ გაიარა ეს რეგისტრაცია, იგულისხმება, რომ სტუდენტის სტატუსიც ვერ მოიპოვა, შესაბამისად, გაურკვეველია სტუდენტის სტატუსის არ მქონე პირს დაწესებულება როგორ უწყვეტს სტუდენტის სტატუსს. ამასთან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს №6 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული რეგისტრაცია არის ბანკში სწავლის საფასურის გადახდა. ამდენად, ეს რეგულაცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „უსდ-დან სხვა უსდ-ში გადასვლის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის თანახმად, ფინანსური დავალიანება არის სტატუსის შეჩერების საფუძველი. სტუდენტს უფლება აქვს სტატუსი ჰქონდეს შეჩერებული 5 წლის განმავლობაში, შესაბამისად, ირლვევა აღნიშნული ნორმა, რადგან დაწესებულება სტუდენტს სტატუსს უწყვეტს 1 წელში (ზედიზედ ორი სემესტრი).

ლელა ქელბაქიანის განცხადებით, თუ ერთ შემთხვევაში პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა დაწესებულებას ჩარიცხვის წინაპირობად აქვს, მეორე შემთხვევაში იგივე საფუძველი როგორ ხდებოდა ჯერ მოუპოვებელი სტატუსის შეწყვეტის წინაპირობა.

დავით აფრასიძე განცხადებით, სხვა შემთხვევაში გამოდიოდა, რომ ფინანსური დავალიანების გამო დაწესებულება უწყვეტდა სტუდენტს სტუდენტის სტატუსს.

თემურ წურწუმიას განცხადებით, თუ პირი 2-ჯერ არ გაივლიდა პირველად ადმინისტრაციული რეგისტრაციას, მაშინ მოხდებოდა სტატუსის შეწყვეტა.



ლელა ქელბაქიანი კვლავ დაინტერესდა როგორ მოხდებოდა იმ სტატუსის შეწყვეტა, რომელიც პირს ჯერ მოპოვებული არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, რეგულაციები და დაწესებულების წარმოამდგენლის განმარტებები არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულებამ 2013 წლის 17 სექტემბერს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დებულებაში შეიტანა ცვლილებები და დამატებები, მათ შორის, მე-17 მუხლით განსაზღვრა, რომ კოლეჯის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან, ამასთან, პროფესორებს მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი. მიხედავად აღნიშნული ცვლილებისა, დებულების მე-10 მუხლში განსაზღვრულია, რომ აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა, მხოლოდ, სრული ან ასოცირებული პროფესორი. იგივე წესი არის გაწერილი აკადემიური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში. რადგან საქართველოს კანონმდებლობით აღარ არსებობს სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობა, შესაბამისად, ვერ მოხდება მისი აკადემიური საბჭოს წევრად არჩევაც.

ლელა ქელბაქიანის განცხადებით, დაწესებულებამ ერთ შემთხვევაში შეიტანა ცვლილება, მაგრამ სხვა რეგულაციაში - არა.

2.2 აღსანიშნავია, რომ აუცილებელია ინვენტარის განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანამედროვე, უმაღლესი დაწესებულების შესაფერისი გარემოს შექმნა.

საბჭოს წევრებმა სხდომის მიმდინარეობისას გადაამოწმეს დასკვნას დართული ფოტომასალა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 კოლეჯის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო მასალებში გამოიკვეთა შემდეგი სახის საკითხები:

1) დაწესებულებამ კონკურსი გამოაცხადა ისეთ სპეციალობაში - „ტურიზმის მენჯერინტი“, რომელიც ეროვნული საკავალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით არ არსებობს და ის, რომ ეს არ არის მხოლოდ ერთ დოკუმენტში გაპარული ტექნიკური ხარვეზი, დასტურდება სხვა დოკუმენტებითაც, კერძოდ:

გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებული საკონკურსო განცხადებით; საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით №1; საკონკურსო კომისიის დასკვნითი სხდომის ოქმით № 3; რექტორის 2013 წლის 24 იანვრის № 2/2 ბრძანებით, აკადემიური პერსონალის შესარჩევი კომისიის დასკვნის დამტკიცებასთან დაკავშირებით („ტურიზმის მენჯერინტის“ სპეციალობაზე არჩეულ იქნა 1 სრული, 1 ასისტენტ პროფესორი).

ლელა ქელბაქიანის განცხადებით, კვალიფიკაციათა ჩარჩო ადგენდა კვალიფიკაციების ჩამონთვალს და არ ჰქონდა კავშირი აკადემიური კონკურსის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისას სპეციალობის დასახელებასთან.

დავით აფრასიძის განცხადებით, აღნიშნულის აკრძალვა არსად იყო. მთავარია, დაწესებულება არარსებული სპეციალობის პროგრამას არ ახორციელებდა.

მარიან გედევანიშვილის განცხადებით, თუ სხვა შემთხვევებში დაწესებულება იცავდა სპეციალობების სახელწოდებებს. მისთვის გაუგებარი იყო, მაშინ რატომ არსებობდა სპეციალობების ჩამონათვალი.



დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ტურიზმის მიმართულების პროგრამას არ ახორციელებდნენ.

2) რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია 2012 წლის ნოემბერში „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის დებულება“, რომელშიც განსაზღვრულია კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. მოგვიანებით, რექტორმა გამოსცა ბრძანება უმაღლესი განათლების შესახებ კანონისა და ზემოთ აღნიშნულ დებულებაში განსაზღვრულ მოთხოვნათა „სრული დაცვით“ კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული ბრძანება ეწინააღმდეგება დებულებაში განსაზღვრულ წესებს და დამატებით ითხოვს სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. ასევე, ამ ბრძანების საფუძველზე გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადებაში დებულებიდან განსხვავებით დამატებით ითხოვს ექვსწლიანი (სრული პროფესორისთვის) და სამწლიანი (ასოცირებული პროფესორისთვის) სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. დაწესებულების სამართლებრივი აქტები ერთმანეთთან შინაარსობრივად შეუსაბამო და ურთიერთსაწინააღმდეგოა.

დავით აფრასიძის განცხადებით, რადგან კანონის ნორმა დებულებაზე მაღლა მდგომი აქტი იყო, იგი პრობლემას ვერ ხედავდა.

3) საკონკურსო კომისიამ ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე უარი უთხრა ელიზბარ ელიზბარაშვილს (ფილოსოფია) და ფარნაოზ ლომაშვილს (ისტორია), თუმცა უარის თქმის საფუძველი საკონკურსო კომისიის ოქმში მითითებული არ არის, რაც ეჭვეჭვეშ აყენებს კონკურსის ჩატარების გამჭვირვალობას.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ დეტალური მითითება უკეთესი ვარიანტი იქნებოდა.

ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, როდესაც 2 კონკურსანტი იყო ერთ ვაკანტურ ადგილზე, როგორ შეაფასა დაწესებულებამ, რომ ერთი სჯობდა მეორეს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული ოქმში არ იყო ასახული.

4) კონკურსანტი ელდარ ამაშუკელი ფინანსების სპეციალობაზეა არჩეული ასოცირებულ პროფესორად. აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით რექტორის 2012 წლის 03 დეკემბერის №18 ბრძანების თანახმად, კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალში მითითებულია, რომ „კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სრული და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს ბოლო ზუთი წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევის პოტენციალს“. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ კანდიდატს, ელდარ ამაშუკელს, მის მიერ წარმოადგინილი, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სის თანახმად, ბოლო სამეცნიერო შრომა გამოქვეყნებული აქვს 2005 წელს, რაც იმის მანიშნებელია, რომ დაწესებულებამ თავიდანვე დაარღვია კონკურსანტისათვის წაყენებული მოთხოვნები, როცა ელდარ ამაშუკელის საკონკურსო განაცხადი განსახილველად მიიღო. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის მესამე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა ელდარ ამაშუკელის 2 ახალი სტატია, რომლებიც დაბეჭდილია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში „მოამბე“.

კონკურსის ჩატარების წესითა და რექტორის 2012 წლის 03 დეკემბერის №18 ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნა კონკურსანტის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტებთან დაკავშირებით დაარღვია საკონკურსო კომისიამაც, რომელმაც



ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე აირჩია ელდარ ამაშუკელი, რომლის მიერაც წარმოდგენილი საბუთებით ვერ დგინდება ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისთვის „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის სავალდებულო მოთხოვნა, 3 წლიან სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილებასთან დაკავშირებით.

ელდარ ამაშუკელის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მან იმუშავა 9 თვის განმავლობაში (შრომის წიგნაკის მიხედვით), ხოლო საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის მიერ გაცემული 2007 წლის 17ოქტომბერს გაცემული ცნობის თანახმად, „ელდარ ამაშუკელი 2007 წლის 15ოქტომბრიდან მიწვეულ იქნა საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე“, თუმცა რა ვადით და რამდენი წელი იმუშავა მან აღნიშნულ დაწესებულებაში, აღნიშნული ცნობის მიხედვით არ დგინდება. ამდენად, საბუთების მიმღებმა კომისიამ ამ ნაწილშიც დაარღვია კონკურსანტისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის მხრიდან კონკურსანტისთვის წაყენებული მოთხოვნები.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ეს ტერმინოლოგიური პრობელმა იყო. მისაღები დოკუმენტების ჩამონათვალში ეწერა „შესრულებული შრომა“ და შრომა იყო საქმეში. მისი განცხადებით, აღნიშნული ჩაშვებული იყო დასახეჭდად.

მარინა გედევანიშვილის განცხადებით, გამოუქვეყნებელი შრომა არ იყო საბუთებში. მისი განმარტებით იყო განვითარების კონცეფცია, რომელიც დაიბეჭდა თუ არა, ექსპერტებმა არ იცოდნენ.

წარსადგენ დოკუმენტთან დაკავშირებით, ლელა ქელბაქიანმა განაცხადა, რომ შესაძლოა დაწესებულებამ იცოდა პირის გამოცდილების შესახებ, რაზეც მარინა გედევანიშვილმა განაცხადა, რომ მსგავსი არგუმენტაციით დოკუმენტები არ უნდა იყოს მოთხოვნილი არსად, რადგან ყველა ყველას იცნობს საქართველოში.

ექსპერტის განცხადებით, ცნობიდან არ დგინდებოდა პირის გამოცდილება, შესაბამისად, არ დგინდებოდა აკმაყოფილებდა თუ არა პირი საკონკურსო მოთხოვნას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული პიროვნება წლების განმავლობაში მათ დაწესებულებაში მუშაობდა.

ექსპერტის განცხადებით, ისინი ვერასოდეს დაადგენდნენ ამას, თუ დოკუმენტი არ დაადასტურებდა.

შესვენება გამოცხადდა 23:31 საათზე.
სხდომა განახლდა 23:55 საათზე.

საბჭომ იმსჯელა შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტები არ იყო დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 4



გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ საბაკალავრო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211358868) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.



7. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინეს დაწესებულებაში ვიზიტად მყოფმა ექსპერტებმა - მაკა კაჭარავამ და ლაშა მარგიშვილმა. მაკა კაჭარავას განმარტებით, ვიზიტის დროს, აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები მის მიერ გადამოწმებული არ იქნა და ამიტომ აკადემიურ პროგრამებში დაფიქსირებლ შენიშვნებზე გაუჭირდებოდა საბჭოს წევრებისთვის დეტალური ახსნა-განმარტებების მიცემა. მაკა კაჭარავამ ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სილაბუსში და პროგრამის კურიკულუმში მითითებულია განსხვავებული წინაპირობები - შესავალი ოპერაციულ კვლევებში - სილაბუსში მითითებულია "წინაპირობის გარეშე", ხოლო კურიკულუმში - „მიკროეკონომიკა, მათემატიკა ეკონომისტებისთვის 2“;

1.2 სასწავლო კურსის ამოცანების ნაწილი იდენტურია სხვა სასწავლო კურსის ამოცანებისა - მაგ., ფასების თეორია 2 - და ფასების თეორია 1;

1.3 სილაბუსში და პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში მითითებულია განსხვავებული კომპეტენციები - მაგ. შესავალი ოპერაციულ კვლევებში - სილაბუსში ეს არის ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და დასკვნის უნარი, კურიკულუმში კი არც ერთი კომპეტენცია არ არის მითითებული; მაგ., ბიზნესის საფუძვლები 2 - სილაბუსით ეს არის ცოდნა და გაცნობიერება, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, ხოლო კურიკულუმით - მხოლოდ ცოდნა და გაცნობიერება და კომუნიკაციის უნარი;

1.4 სილაბუსში არ არის სწორად მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები - მაგ., კვლევის მეთოდები - 3 კრედიტი (სულ 75 სთ) მოიცავს საკონტაქტო 35 და დამოუკიდებელი მუშაობის 75 სთ, მათ შორის, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მომება... და სხვ. - 25 სთ, ზეპირი და წერითი დავალებები - 25 სთ, გამოცდებისთვის მომზადება - 25 სთ;

1.5 სილაბუსში და პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია განსხვავებული დამოუკიდებელი საათების რაოდენობა - მაგ., საგადასახადო სისტემები - სილაბუსში დამოუკიდებელი მუშაობა - 75 სთ, ხოლო კურიკულუმში - 50 სთ.; შესავალი ოპერაციულ კვლევებში - სილაბუსში დამოუკიდებელი მუშაობა - 50 სთ, ხოლო კურიკულუმში - 75 სთ;

1.6 სილაბუსში მითითებული დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა არ შეესაბამება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჯამს - მაგ., შესავალი ოპერაციულ კვლევებში - დამოუკიდებელი მუშაობა - 50 სთ, მათ შორის ლექციაზე წარმოდგენილი მასალის დამუშავება - 20 სთ, წერითი და ზეპირი საშინაო დავალებების შესრულება - 20 სთ, გამოცდებისთვის მზადება - 25 სთ;

1.7 სასწავლო კურსების სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თემებთან მითითებულია მხოლოდ დამხმარე ლიტერატურა: მაგ., შესავალი ბიპევიორულ მეცნიერებაში (4,5,6,7 და 9,10,11,12,13,14,15 კვირა), ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (14,15,16 კვირა);

1.8 შეფასების სისტემა: დასკვნითი გამოცდის მითითებული ქულა ნაკლებია შეფასების კონპონენტების ჯამისა - მითითებულია: დასკვნითი გამოცდა 40 ქულა, თითოეულ ბილეთში მოცემულია 10 საკითხი (5 თეორიული და 5 პრაქტიკული), ერთი საკითხი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით (მაგ., შესავალი ეკონომეტრიკაში 2, დიფერენციალური განტოლებები);

1.9 შეფასების სისტემა: შუალედური გამოცდის მითითებული ქულა მეტია შეფასების კონპონენტების ჯამისა - კერძოდ, მითითებულია: შუალედური გამოცდა - 30 ქულა, "თითოეულ ბილეთში მოცემულია 5 პრაქტიკული საკითხი, საკითხები ფასდება 0-5 ქულით (მაგ., წრფივი ალგებრა 1-2, ანალიზური გეომეტრია, კალკულუსი 1-2, ანალიზის მეთოდები 1-2);

1.10 შეფასების სისტემა: მითითებულია მხოლოდ შეფასების კომპონენტის მაქსიმალური ქულა შეფასების კრიტერიუმის გარეშე - მაგ., პროფესიული ინგლისური 5 (ინფორმატიკის პროგრამა) "თითოეულ მეცადინეობაზე სტუდენტის სააუდიტორიო აქტივობა ფასდება მაქსიმუმ 20 ქულით";

1.11 შეფასების სისტემა: შეფასების კრიტერიუმები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული - კერძოდ, მითითებულია აქტიურობა (მაქს. 30 ქულა), რომლითაც "ფასდება სტუდენტის საქმიანობა მთელი სემესტრის განმავლობაში". სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 15 ჯგუფში მუშაობა, თითოეული აქტიურობის შეფასების ქულის არასრებობის გამო არ დგინდება რამდენჯერ და რა ქულით შეფასდება სტუდენტი სემესტრის განმავლობაში, ანუ რამდენი აქტივობითაა შესაძლებელი ამ 30 და მასზე ნაკლები ქულის შეგროვება (მაგ., ბიზნესის საფუძვლები 2, საერთაშორისო ბიზნესი, შესავალი ოპერაციულ კვლევებში, შესავალი კომპიუტერებისა და C ენაში, მონაცემთა ბაზები);

1.12 შეფასების სისტემა: შეფასების სისტემა არ ასახავს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სტუდენტების აქტივობების - კერძოდ, შუალედურ შეფასებებში გათვალისწინებულია პრეზენტაციის შეფასება, თუმცა სასწავლო გეგმაში პრეზენტაცია, როგორც სტუდენტის საქმიანობა, გათვალისწინებული არ არის (მაგ., კორპორაციული მართვა);

1.13 სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაში მოიაზრება ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც არ შეესაბამება არც სასწავლო გეგმას და არც შეფასების სისტემას - კერძოდ, 1) დამოუკიდებელი მუშაობა - პრეზენტაციის მომზადება (მაგ., კალკულუსი 1-2) და 2) დამოუკიდებელი მუშაობა - ლაბორატორიული საშინაო დავალების შესრულება - 20 სთ. (მაგ., წრფივი ალგებრა 1-2, ანალიზის მეთოდები 1-2, საგადასახადო სისტემები, კორპორაციული მართვა, თამაშის თეორია, ანალიზური გეომეტრია);

1.14 ორივე საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსის შეფასების სისტემაში მითითებულია "მინიმალური საბოლოო შეფასება - 51 ქულა", რაც არ შეესაბამება



მოქმედ შეფასების სისტემას, რომლის მიხედვით შემაჯამებელი მინიმალური შეფასება არის 0 ქულა, ხოლო 51 ქულა - არის მინიმალური დადებითი ქულა, რომლითაც შესაძლებელია კრედიტის მიღება;

1.15 პროფესიულ პრაქტიკა/სემინართან დაკავშირებული შენიშვნები:

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია "საბაკალავრო პროგრამების პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვის და შეფასების წესი", რომლის მიხედვით "პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას ბიზნესის ადმინისტრირებაში" (მ.2, პ. 2.1), რაც არაა დეკვატურია ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, რომლის პრაქტიკის სილაბუსში ასევე არის მითითებული "სტუდენტის დაგეგმილი საქმიანობა ბიზნესის ადმინისტრირებაში";

2. პრაქტიკის სილაბუსში წინაპირობად მითითებულია "I-VI სემესტრებში პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები", ხოლო "საბაკალავრო პროგრამების პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვის და შეფასების წესი" მითითებულია, რომ "პრაქტიკის საჯარო დაცვაზე (დასკვნით გამოცდაზე) სტუდენტის დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო (გარდა საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ეტაპისა) შესრულება" (მ.9), რაც არაა დეკვატურია რამდენიმე მიზეზის გამო: 1) ორივე საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში პრაქტიკა გათვალისწინებულია VII სემესტრში, შესაბამისად, სტუდენტს არ ექნება შესწავლილი VIII სემესტრში გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში: "პროგრამირების ენები /Programming Languages/ (ინგლისური)", კომუნიკაციები და კომპიუტერები, სირთულის ენები/Complexity and Intractability (ინგლისური), ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის შემთხვევაში - ბიბლიოგრაფიული და კვლევითი უნარები Bibliographical and Research Skills (ინგლისურად), 2) ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმატიკის პროგრამის შემთხვევაში პრაქტიკის დაცვა დაგეგმილია 6-7 კვირას, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების შემთხვევაში - 9-10 კვირას, სტუდენტს ვერ ექნება "შესრულებული" სასწავლო გეგმებით VII სემესტრში გათვალისწინებული სასწავლო კურსებიც, რადგან ამ შემთხვევაში დასკვნითი გამოცდა ტარდება 17-19 კვირას;

3. „პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესში“ და ორივე პრაქტიკის სილაბუსის შეფასებებში მითითებულია მხოლოდ მინიმალური და მაქსიმალური ქულები, მაგ.: 1) შუალედური შეფასებები - მაქსიმუმ 60 ქულა, მათ შორის 40 ქულა აქტიურობაში (კრიტერიუმებია: ავლენს კომუნიკაციას - 5 ქულა, ვერ ავლენს კომუნიკაციას - 0 ქულა; სრულად აკეთებს გუნდური მუშაობის უნარის დემონსტრირებას - 5 ქულა, ვერ ავლენს ამ უნარს - 0 ქულა და ა.შ.) და 20 ქულა პრაქტიკის დღიურის წარმოებაში (კრიტერიუმებია: დღიურში მოცემულია პრაქტიკის პერიოდში სტუდენტის ყოველდღიური საქმიანობა - 5 ქულა, მისი არ არსებობის შემთხვევაში - 0 ქულა და ა.შ.); 2) დასკვნითი გამოცდის 40 ქულაში მოიაზრება პრაქტიკის ანგარიშის შეფასების 20 ქულა, რომელშიც ასევე მითითებულია მხოლოდ მაქსიმალური ქულები, მაგ., გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს - 5 ქულა, დასკვნები და რეკომენდაციები - 5 ქულა და სხვ. შესაბამისი ინფორმაციის არ არსებობის გამო არ დგინდება თუ როგორ მოხდება შემაჯამებელი არამაქსიმალური შეფასების მისადაგება მოქმედ შეფასების სისტემასთან და მათი ფორმირება, მათ შორის მინიმალური დადებითი შეფასების (51 ქულა), რომელიც საკმარისია კრედიტის მისაღებად, და ორი უარყოფითი "ვერ ჩააბარა" (41-50 ქულა,



სტუდენტს შეუძლია დამატებით გამოცდაზე გასვლა იმავე სემესტრში და "ჩაიჭრა" (0-40 ქულა, საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი) შეფასების გამიჯვნა;

4. „საბაკალავრო პროგრამების პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესში” და პრაქტიკის სილაბუსებში გაურკვეველი მიზნით ნახსემებია „პროფესიული სტუდენტი” - მაგ: შეფასების სისტემაში: „პროფესიულმა სტუდენტმა სრულად შეასრულა პრაქტიკის პროგრამა”, „პროფესიულმა სტუდენტმა შეასრულა პრაქტიკის პროგრამის დიდი ნაწილი”, „პროფესიულმა სტუდენტმა ნაწილობრივ შეასრულა პრაქტიკის პროგრამის დიდი ნაწილი”, „პროფესიულმა სტუდენტმა ნაწილობრივ შეასრულა პრაქტიკის პროგრამა” და ა.შ.

1.16 საბაკალავრო ნაშრომი/პროექტთან დაკავშირებული შენიშვნები:

1. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვის და შეფასების წესი” და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში შუალედურ შეფასებებში (60 ქულა) მოიაზრება ნაშრომის ხელმძღვანელის (30 ქულა) და რეცენზირენტის (30 ქულა) შეფასებები. ორივე შემთხვევაში მითითებულია ამ შეფასებების კომპონენტების მხოლოდ მაქსიმალური ქულები. ამავე დროს მითითებულია, რომ ნაშრომის დაცვაზე დაიშვება სტუდენტი შუალედური შეფასებებით 11 ქულის დაგროვების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს ხელმძღვანელისა და რეცენზირენტის შეფასებების საშუალო არითმეტიკულ ქულას. მხოლოდ მაქსიმალური ქულების მითითების გამო არ დგინდება თუ როგორ შეძლებს სტუდენტი ამ 11 ქულის მიღებას, როგორ მოხდება შემაჯამებელი არამაქსიმალური შეფასების ფორმირება და მისი მისადაგება მოქმედ შეფასების სისტემასთან, იმის დადგენა მიიღო სტუდენტმა 51 ქულა (და შესაბამისად კრედიტი), მოუწევს მას დამატებით დაცვაზე გასვლა თუ საბაკალავრო ნაშრომის ახლიდან შესრულება;

2. ორივე საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სილაბუსში მითითებული შედეგები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების I საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს, კერძოდ: ცოდნა და გაცნობიერება - ”შეუძლია სფეროს ლიტერატურაში არასაკრისად გაშუქებული პრობლემის დასმა, ახალი წყაროების და ფაქტების გამოვლენა, გააჩნია არსებული პრობლემის ახლებური გაშუქების უნარი, დაეუფლა კვლევის/ექსპერიმენტის მეთოდებს და სხვ. (კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად - უნდა იყოს ”სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება”); ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ”შეუძლია საბაკალავრო თემის არჩევა, ნაშრომის გეგმის შედგენა და სისტემური დალაგება, შეგროვილი მასალის ანალიზი, კვლევის მეთოდების არჩევა და სხვ.” (კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად - უნდა იყოს ”სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად”); დასკვნის უნარი - ”შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების ტრანსფორმაცია მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის ახალი გზების შემუშავება და სხვ.” (კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად - უნდა იყოს ”სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება”), ღირებულებები - ”შეუძლია კონკრეტული ამოცანის დასახვა და დაგეგმილ დროში შესრულება, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე მის მიერ შესრულებული სამუშაოს გამო” (კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად -



უნდა იყოს „ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.”);

1.17 დებულების მუხლებში, რომლებიც აღწერენ სტუდენტთან/პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რიგ შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული ინფორმაცია, ასე მაგ.: ”დაუშვებელია პროფესიული სტუდენტების უფლებებში შეზღუდვა” (მ. 29. პ.4); „აკადემია უფლებამოსილია გამოიტანოს ... გადაწყვეტილება ... გადაცდომის ჩამდენისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ”, „პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება” (მ. 31. პ.5, 6) და სხვა;

1.18 დებულებაში, შრომის შინაგანაწესში და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში არსებობს განსხვავებული ინფორმაცია დისციპლინარული დევნის განხორციელების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, კერძოდ: დებულებაში (მ. 31. პ.5) და შინაგანაწესში (მ.26. პ.5) მითითებულია, რომ დისციპლინარული დევნა შეიძლება გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, ხოლო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მ.10. პ.1) ამ მიზეზით სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება გათვალისწინებული არ არის;

1.19 შინაგანაწესში (მ. 25. პ.3) მითითებულია მხოლოდ ის ქმედებები, რომლებიც იწვევს გაფრთხილებას, სასტიკი ან მკაცრი საყვედურის გამოცხადებას, და არ არის მითითითებული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის გამომწვევი ქმედებები მიუხედავად იმისა, რომ შინაგანაწესის 26-ე მუხლი (პ. 5) ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ისეთ ზომებს, როგორიცაა სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა;

1.20 შინაგანაწესში და დებულებაში ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციის არარებობის გამო არ დგინდება: რა დისციპლინარული გადაცდომა შეიძლება გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, რა იგულისხმება ”განსაკუთრებით მძიმე გადაცდომაში” (დებულება, მ.31. პ.5) ან ”დებულების, შინაგანაწესის და სხვა სამართლებრივი აქტების უხეშ დარღვევაში (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მ.12. პ1), რაც შეიძლება გახდეს სტატუსის შეწყვეტის საფუძველი, რა მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება სტუდენტს კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში, როგორია დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის გადამწყვეტი კომისიის შემადგენლობა, მუშაობის, მტკიცებულებების მოპოვებისა და განხილვის წესი და სხვ. – „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის (მ.43. პ.7) თანახმად: „სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეიმუშაოს სტუდენტის ეთიკის კოდექსი, რომელიც შესაძლებელია აწესებდეს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას”.

2. მატრიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 უმაღლესი განათლების შესახებ კანონის (მ.3. პ.3) შესაბამისად საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მისაღწევად ”დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ... სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში”. ამავე დროს დაწესებულების სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული სტუდენტური თვითმმართველობა, დაწესებულების მიზნებში და



ამოცანებში (დებულება, მ. 2,3), დებულებაში (მუხლი 29. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსი და უფლებები), სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 14. სტუდენტის უფლებამოვალეობები) ან სხვ. არ არის გათვალისწინებული დაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლში სტუდენტის მონაწილეობა ან მონაწილეობის უფლება. დაწესებულების დებულებაში (მ. 9. აკადემიური საბჭო) მითითებულია მხოლოდ, რომ ”დასაშვებია საბჭოს შემადგენლობაში შედიოდეს სტუდენტთა წარმომადგენელი”. - აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გარანტირებული კანონით განსაზღვრული ზემოთ მითითებული მოთხოვნის შესრულება;

2.2 შენობის 0 სართულზე, სადაც იგეგმება საკონფერენციო დარბაზი 2-ის მოწყობა (ფართი: 116.95), არ არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. აღნიშნულ ფართში დამონტაჟებულია ვენტილაციის სისტემა;

2.3 ბრძანებების წიგნი, შემოსული და გასული დოკუმენტაციის უურნალები ზონარგაყრილი, ბეჭედდასმული, ხელმოწერილი და დანომრილია. აკადემიური საბჭოს ოქმების რეგისტრაციის უურნალი არ არის ხელმოწერილი, ბეჭედდასმული, დანომრილი და ზონარგაყრილი, შესაბამისად, მისი სანდოობა სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებით ნინო ქეცბაია - ასოცირებული-პროფესორი ფიქსირდება შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში (ასოცირებული-პროფესორი) და სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ასისტენტ-პროფესორი); მაია აღაია - ასოცირებული-პროფესორი ფიქსირდება სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ასისტენტ-პროფესორი) და სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ასისტენტ-პროფესორი).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ, ვიზიტის დროს წამოღებული იყო დოკუმენტების დედნები, ამიტომ ზოგიერთი დოკუმენტი დაწესებულებას აღარ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შენიშვნების ნაწილი ეხებოდა კურიკულუმში მოცემულ კომპეტენციებს. მან საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს ადმინისტრირებისა და ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამები იყო სპეციფიკური ხასიათის, ვინაიდან მათი შემუშავება მოხდა ერთობლივად, ისრაელის სახელმწიფოში არსებული ერთ-ერთი წამყანი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანამონაწილეობით. აღნიშნული სასწავლებელი იყო ისრაელის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული და ფინანსდებოდა მთლიანად ისრაელის სახელმწიფო მიერ. ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული უნივერსიტეტის წარმომადგენლები ჩამოსულები იყვნენ საქართველოში, კონსულტაციები გაიარეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რათა მოეხდინათ მათი პროგრამების ქართულ კანონმდებლობასთან ადაპტირება. შპს ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ პროგრამებზე საავტორო უფლება ეკუთვნოდა ისრაელის სახელმწიფოში მოქმედ უნივერსიტეტს, რომელმაც შპს ინტერბიზნესის აკადემიას გადასცა სილაბუსები, რომელმაც თავის მხრივ, მოახდინა მათი ადაპტირება.



სხდომის თავმჯდომარემ რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ეჭვი არ შეჰქონდა ისრაელის სახელმწიფოში არსებული განათლების სისტემის გამართულობაში. თუმცა, თუკი საქართველოში მოხდებოდა ისრაელის სახელმწიფოში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მაშინ უნდა მომხდარიყო აღნიშნული პროგრამების ადაპტირება ქართულ კანონმდებლობასთან.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებულ სილაბუსებში აღნიშნული ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული. ვინაიდან ექსპერტთა მიერ წარმოდგებული იქნა ორიგინალი სილაბუსები, ვერ მოხერხდა მათი შედარება და გადამოწმება. დაწესებულებაში მყოფი ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ლაშა მარგიშვილი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა დაწესებულების წარმომადგენელი ორიგინალ სილაბუსებში. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა ადგილზე გადაამოწმეს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე თანდართული დანართები და ყველა მათგანზე იყო შპს ინტერბიზნესის აკადემიის ბეჭედი და ხელმოწერა. საბჭოს წევრი დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა, თუ ვის მიერ იყო ექსპერტებისთვის გადაცემული აღნიშნული დოკუმენტაცია. ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია გაცემული იყო შპს ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენლების მიერ, რაც დასტურდებოდა უფლებამოსილი პირის მიერ დანართებზე გაკეთებული ბეჭდითა და ხელმოწერით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაძლოა, რამდენიმე არასწორად ამობეჭდილი სილაბუსი გადასცეს ავტორიზაციის ექსპერტებს და ამან გამოიწვია დასკვნის 1.1 პუნქტში არსებული შენიშვნები.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა განმარტა, რომ შენიშვნის არსი მდგომარეობდა შემდეგში: სილაბუსში და პროგრამის კურიკულუმში მითითებული იყო განსხვავებული წინაპირობები, კერძოდ - შესავალი ოპერაციულ კვლევებში - სილაბუსში მითითებული იყო „წინაპირობის გარეშე“, ხოლო კურიკულუმში - „მიკროეკონომიკა, მათემატიკა ეკონომისტებისთვის 2“. შესაბამისად, მისი აზრით, აღნიშნული ხარვეზის არსებობა არანაირად არ უკავშირდებოდა სილაბუსის არასწორად ამობეჭდას, ვინაიდან ერთგან წინაპირობების გრაფაში ეწერა - წინაპირობების გარეშე, ხოლო მეორეგან - „მიკროეკონომიკა, მათემატიკა ეკონომისტებისთვის 2“. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ საბჭო მხედველობაში მიღებდა ექსპერტთა დასკვნაზე თანდართულ სილაბუსებსა და მასალებს, ვინაიდან ისინი დაწესებულების მიერვე იყო ბეჭედდასმული და ხელმოწერილი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ ლილი ბიბილაშვილის მოსაზრებით, მოცემული შენიშვნა დაწესებულებამ გამოასწორა ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის ხარვეზი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ტექნიკური ხასიათის შენიშვნად, ვინაიდან სილაბუსში ეწერა - „წინაპირობების გარეშე“, ხოლო კურიკულუმში - „მიკროეკონომიკა, მათემატიკა ეკონომისტებისთვის 2“. შესაბამისად, შეუძლებელი იყო, რომ ამგვარი ხარვეზი ყოვილიყო ტექნიკური ხასიათის. საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილის მოსაზრებით, შპს ინტერბიზნესის აკადემიას მოცემულ შენიშვნაზე არ ჰქონდა დამჯერებელი არგუმენტი და დაწესებულებას წარმომადგენლებს შეეძლოთ თავად ენახათ აღნიშნულ დოკუმენტაციაში დაშვებული ხარვეზები.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს წევრმა კახაბერ ჯაყელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბაკალავრიატის საფეხურზე იშვიათი იყო ფასების თეორია 1 და ფასების თეორია 2 სწავლება. მისი მოსაზრებით, აღნიშნული საგნების სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე უმჯობესი იყო მათი შესწავლა მაგისტრატურის საფეხურზე. ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ მოცემული დისციპლინები ისწავლებოდა ბაკალავრიატის



მე-6 და მე-7 სემესტრებში. შენიშვნის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ორივე კურსის ამოცანების ნაწილი იყო იდენტური. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფასების თეორია 1 და ფასების თეორია 2 ამოცანები არ იყო იდენტური. საბჭოს წევრმა კახაბერ ჯაყელმა მოითხოვა სილაბუსების გაცნობა. სილაბუსების ადგილზე გადამოწმების შედეგად ჯახაბერ ჯაყელმა აღნიშნა, რომ შესაძლოა საკითხები სხვადასხა სიღრმეებით ყოფილიყო განხილული და ამიტომ იგი აღნიშნულ საკითხში არსებით პრობლემას ვერ ხედავდა. მისი მოსაზრებით, ბაკალავრიატის საფეხურზე აღნიშნული საგნების სწავლება არ იყო ლოგიკური. კახაბერ ჯაყელი დაინტერესდა, თუ რა კვალიფიკაცია მიენიჭებოდა სტუდენტს აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდგომ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის დასრულების შემდგომ პირს მიენიჭებოდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამებზე საავტორო უფლებები ეკუთვნოდა ისრაელის სახელმწიფოში არსებულ უნივერსიტეტს, ამიტომ შპს ინტერბიზზესის აკადემიას არ ჰქონდა იმის უფლება, შესაძლებლობა, რომ აქტიური ცვლილებები შეეტანა სასწავლო პროგრამის შინაარსში. პროგრამის თანახმად, ისრაელის სახელმწიფოში გათვალისწინებული სწავლება 80 კრედიტის მოცულობით. ამიტომ იყო კურიკულუმში გათვალისწინებული ფასების თეორია 1 და ფასების თეორია 2 სწავლება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუკი პროგრამები ერთობლივად იყო შემუშავებული ისრაელის სახელმწიფოში მოქმედ უნივერსიტეტთან ერთად, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პრობლემა შესაბამისი ლიტერატურის მოძიების თვალსაზრისით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმ დისციპლინებში სადაც ვერ მოიძებნა ქართულენოვანი ლიტერატურა, გამოყენებული იქნება ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები. საბჭოს წევრი დავით კიკალეიშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა შპს ინტერბიზნესის აკადემიას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული ინგლისური ენის ცოდნა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გათვალისწინებული იყო ინგლისური ენის ცოდნა.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდა აღნიშნულ ხარვეზს და იყო ტექნიკური ხასიათის.

1.4, 1.5 და 1.6 შენიშვნებთან დაკავშირებით შპს ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზები იყო ტექნიკური ხასიათის. დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმა გაწერილი იყო სწორად. მისი განმარტებით, სილაბუსებში არითმეტიკულად არასწორად მოხდა სათების დაჯამება. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, მოცემული შენიშვნა იყო ტექნიკური ხასიათის და იგი სასწავლო პროცესზე ვერ მოახდენდა გავლენას.

1.7 შენიშვნაზე საბჭოს წევრმა დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, შენიშვნის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ლიტერატურის გარკვეული ნაწილი გადატანილი ყოფილიყო სავალდებულო ლიტერატურის გრაფაში. საბჭოს წევრის ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, თუკი აღნიშნული წიგნები ინახებოდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში, მაშინ იგი ამაში პრობლემას ვერ ხედავდა.

1.8 შენიშვნასთან დაკავშირებით, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ შენიშვნა მდგომარეობდა შემდეგში - დასკვნითი გამოცდის მითითებული ქულა ნაკლები იყო შეფასების კონპონენტების ჯამისა - მითითებული იყო: დასკვნითი გამოცდა 40 ქულა,



თითოეულ ბილეთში მოცემულია 10 საკითხი (5 თეორიული და 5 პრაქტიკული), ერთი საკითხი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით, ანუ ჯამში გამოდიოდა არა 40, არამედ 50 ქულა. ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ ვის მიერ იყო სილაბუსები შედგენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამებზე საავტორო უფლება ჰქონდა ისრაელის მხარეს, თუმცა მათი ქართულ კანონმდებლობასთან ადაპტაცია განახორციელა შპს ინტერბიზნესის აკადემიამ.

მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის შენიშვნა იყო დაფიქსირებული 1.9 პუნქტშიც, კერძოდ - შუალედური გამოცდის მითითებული ქულა მეტი იყო შეფასების კომპონენტების ჯამისა - კერძოდ, მითითებული იყო: შუალედური გამოცდა - 30 ქულა, „თითოეულ ბილეთში მოცემულია 5 პრაქტიკული საკითხი, საკითხები ფასდება 0-5 ქულით“. ანუ ნაცვლად 30 ქულისა, რეალურად გამოდიოდა 25 ქულა.

1.10 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული ინგლისურ 5-ში (ინფორმატიკის პროგრამა) ჩამოთვლილი იყო ის სამუშაო აქტივობები, რომლებიც ფასდებოდა მაქსიმუმ 20 ქულით. დანარჩენი 80 ქულა დეტალურად იყო ჩაშლილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეული კომპონენტი ჩაშლილი იყო კრიტიკულების მიხედვით. ის, თუ საუდიტორიო მეცადინეობის დროს რაში დაიწერებოდა მაქსიმალური 20 ქულა, ეს იყო ლექტორების აკადემიური თავისუფლების საკითხი. სხდომის თავმჯდომარის რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, სილაბუსის მთავარი დანიშნულება იყო ის, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები მაქსიმალურად ამომწურავად და სრულყოფილად მიეწოდებინა სტუდენტებისთვის. დავით აფრასიძე დაეთანხმა რევაზ აფხაზავას მოსაზრებას და განმარტა, რომ სილაბუსის მთავარი არსი სწორედ ამაში მდგომარეობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსში გაწერილი იყო აქტივობები. ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, სილაბუსში დეტალურად უნდა იყოს სტუდენტისთვის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში მიიღებს სააუდიტორიო მეცადინეობის დროს 20 ან ნაკლებ ქულას. შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ჩაშლილი.

1.11 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეფასების კრიტერიუმები დეტალურად და მკაფიოდ იყო ჩაშლილი. საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა მოითხოვა 1.11 შენიშვნაში დაფიქსირებული საგნის სილაბუსის გადამოწმება. ბიზნესის საფუძვლები 2-ის ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შეფასების კრიტერიუმები თავისი განმარტებებით ჩაშლილი იყო შემდეგნაირად - 30-25 ქულა; 24-19 ქულა; 18-13 ქულა; 12-7 ქულა; 6-1 ქულა და 0 ქულა. ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, აღნიშნული არ გულისხმობდა იმას, რომ შეფასების კრიტერიუმები სტუდენტისთვის იქნებოდა მკაფიო და გასაგები. ის ვინც მიიღებდა 25-იდან 30 ქულამდე, არ ეცოდინებოდა კონკრეტულად რატომ შეფასდა 25 ან 30 ქულით. არ იყო გაწერილი მაგალითად რა შემთხვევაში შეფასდებოდა სტუდენტი 26, 27, 28 ან 29 ქულით. 25-იდან 30 ქულამდე არსებობდა შეფასების ერთი კრიტერიუმი, კერძოდ - „სტუდენტი აქტიურობდა, ამჟღავნებდა პროგრამული მასალის ცოდნას“. საბჭოს წევრი დავით კიკალეიშვილი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რა შემთხვევაში შეფასდებოდა სტუდენტი 28 ქულით. მისი აზრით, ყველა შესაძლო ქულას უნდა ჰქონდა თავისი შეფასება და განმარტება. დავით კიკალეიშვილის მოსაზრებით, შეფასების დროს 5 ქულიანმა ლუფტმა სტუდენტებში შესაძლოა გამოიწვიოს უსამართლობის განცდა, რადგან მისთვის გაუგებარი იქნება რატომ მიიღო 25 ან 26 ქულა და რატომ არ მიიღო 30 ქულა.



1.12 შენიშვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმაში პრეზენტაცია იყო გათვალისწინებული. სილაბუსის ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პრეზენტაცია გათვალისწინებული იყო მე-16 კვირას. შესაბამისად, საბჭომ მოცემული შენიშვნა არ გაიზიარა.

1.13 შენიშვასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი ლელა ქელბაქიანი დაინტერესდა, თუ რა მიზნით ამზადებდა სტუდენტი დამოუკიდებელი მუშაობის დროს ისეთ სამუშაოს მაგალითად პრეზენტაციებს, თუკი იგი არ იყო გათვალისწინებული არც სასწავლო გეგმაში და არც შეფასების სისტემაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტი დამოუკიდებელი მუშაობის დროს შეასრულებდა ლაბორატორიულ საშიანო დავალებებს. აღნიშნული მოიაზრებდა იმას, რომ სტუდენტს ექნებოდა შესაძლებლობა ემუშავა კომპიუტერულ კლასში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შედეგი და მიზანი არ მოდიოდა წინააღმდეგობაში. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ შენიშვნის არსი მდგომარეობდა არა შედეგისა და მიზნის წინააღმდეგობაში, არამედ იმაში, რომ სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაში მოიაზრებოდა ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც არ შეესაბამებოდა არც სასწავლო გეგმას და არც შეფასების სისტემას. მისი მოსაზრებით, თუკი დაწესებულება სტუდენტს ავალებდა, რომ დამოუკიდებელი მუშაობისას შეესრულებინა ლაბორატორიული საშინაო დავალებები ან მოემზადებინა პრეზენტაციები, უნდა მოეხდინა კიდეც აღნიშნული აქტივობების შეფასება. შესაბამისად, გაუგებარი იყო ის, თუ როგორ გებულობდა დაწესებულება ნამდვილად შეასრულა თუ არა სტუდენტმა მიცემული დავალებები. ლელა ქელბაქიანის განმარტებით, დაწესებულებაში უნდა ხდებოდეს დამოუკიდებელი მუშაობის დროს შესრულებელი სამუშაოს შეფასება, არა აქვს მნიშვნელობა იქნება ეს ლაბორატორიული საშინაო დავალებების, თუ პრეზენტაციების მომზადება. საბჭოს წევრი ლილი ბიბილაშვილი დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ ნაკლებსავარაუდო იყო სტუდენტს შეესრულებინა ისეთი დამოუკიდებელი დავალება, რომელსაც დაწესებულება შემდგომ არ შეუფასებდა. ლელა ქელბაქიანმა აღნიშნა, რომ მას რჩებოდა ისეთი განცდა, რომ სილაბუსის ავტორები ვერ აცნობიერებდნენ, თუ რას წერდნენ სილაბუსებში.

1.14 შენიშვნაზე მაკა კაჭარავამ განმარტა, რომ შენიშვნის არსი მდგომარეობდა შემდეგში - ორივე საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსის შეფასების სისტემაში მითითებული იყო „მინიმალური საბოლოო შეფასება - 51 ქულა“, რაც არ შეესაბამებოდა მოქმედ შეფასების სისტემას, რომლის მიხედვით შემაჯამებელი მინიმალური შეფასება არის 0 ქულა, ხოლო 51 ქულა - არის მინიმალური დადებითი ქულა, რომლითაც შესაძლებელია კრედიტის მიღება. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არანაირი წინააღმდეგობა კანონმდებლობასთან არ არსებობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სიტყვა დადებითი რომც ყოფილიყო გამორჩენილი, მაინც არანაირად არ ეწინააღმდეგებოდა შპს ინტერბიზნესის აკადემიის რეგულაცია კანონმდებლობას. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის შეფასების სისტემა ერთი-ერთზე იმეორებდა კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა ლელა ქელბაქიანმა ადგილზე გადაამოწმა დაწესებულების ბიზნესის საფუძვლები 2-ის სილაბუსი, სადაც შეფასების საერთო მოთხოვნები ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძღვევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება 50%-ზე მეტი ქულის დაგროვების შემთხვევაში. იგივე ჩანაწერი იყო მოცემული ბიზნესის



ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაშიც. ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, რეგულაცია, რომელიც სტუდენტს დასკრიფტით გამოცდას ჩაბარებულად უთვლიდა, თუკი იგი მიიღებდა 50% მეტ ქულას ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გააწერიშების წეს“, ვინაიდან მაგალითად სტუდენტი, რომელიც შუალედური აქტივობებით დააგროვებდა 51 ქულაზე მეტს და დასკვნით გამოცდაზე მიიღებდა 50% ნაკლებ ქულას მას საგანი არ ეთვლებოდა ჩაბარებულად. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საბჭოს წევრმა დავით კიკალეიშვილმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ სტუდენტი, რომელიც მაგალითად შუალედური შეფასებების დროს 60 მაქსიმალური ქულიდან დააგროვებდა 56 ქულას, 40 ქულიანი დასკვნითი გამოცდიდან კი - 19 ქულას, მას წყალში ეყრდნობა აღნიშნული ქულები, რადგან საგანი რჩებოდა ჩაუბარებელი, მიუხედავად იმისა, რომ ჯამში მას ექნებოდა 75 ქულა. აღნიშნული რეგულაცია დავით კიკალეიშვილის მოსაზრებით სტუდენტს უკარგავდა მოტივაციას.

დაწესებულებების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იგი მუშაობდა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და იქაც არსებობდა ანალოგიური რეგულაცია. დაწესებულებების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მსგავსი შეფასების პრაქტიკა არსებობდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და არანაირად არ ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დავით კიკალეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებების წარმომადგენლის არგუმენტი იყო არალოგიკური, რადგან საბჭო იხილავდა არა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ შეს ინტერბიზნენსის აკადემიის ავტორიზაციის საკითხს. დავით კიკალეიშვილის განმარტებით, საბჭოს წევრებს მიაჩნდათ, რომ დაწესებულებების აღნიშნული რეგულაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გააწერიშების წესთან.“

1.15 პუნქტის 1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზი იყო ტექნიკური ხასიათის.

1.15 პუნქტის 2 შენიშვნასთან დაკავშირებით ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ შენიშვნის არსი მდგომარეობდა შემდეგები - პრაქტიკის სილაბუსში წინაპირობად მითითებული იყო I-VI სემესტრებში პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა, ხოლო საბაკალავრო პროგრამების პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვის და შეფასების წესში კი - პრაქტიკის საჯარო დაცვაზე (დასკვნით გამოცდაზე) სტუდენტის დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო (გარდა საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ეტაპისა) შესრულება, რაც შეუძლებელი იყო რამდენიმე მიზეზის გამო: 1) ორივე საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში პრაქტიკა გათვალისწინებული იყო VII სემესტრში, შესაბამისად, სტუდენტს არ ექმებოდა შესწავლილი VIII სემესტრში გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები; 2) ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმატიკის პროგრამის შემთხვევაში პრაქტიკის დაცვა დაგეგმილი იყო 6-7 კვირას, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების შემთხვევაში - 9-10 კვირას, სტუდენტს ვერ ექნებოდა შესრულებული სასწავლო გეგმებით VII სემესტრში გათვალისწინებული სასწავლო კურსებიც კი, რადგან დასკვნითი გამოცდა ტარდებოდა 17-19 კვირას. შესაბამისად, სახეზე იყო შემთხვევა, როდესაც სილაბუსსა და ინსტრუქციაში დადგენილი იყო სხვადასხვა წინაპირობები. დავით კიკალეიშვილის მოსაზრებით, შენიშვნის არსიდან გამომდინარე, სტუდენტი ფიზიკურად ვერ შეძლებდა



პროფესიული პრაქტიკის გავლას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესში მოცემული იყო ზოგადი წესი და არ ეწინააღმდეგებოდა საგანმანათლებლო პროგრმით დადგენილ რეგულაციას. დავით კიკალეიშვილმა საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით მოითხოვა დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმება.

საბჭოს წევრის რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, შენიშვნის არსი მდგომარეობდა დაწესებულების მხრიდან წინადადებების გამართულად ჩამოყალიბებაში. ლელა ქელბაჯიანმა საბჭოს წევრებს გააცნო პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის საჯარო დაცვაზე (დასკვნით გამოცდაზე) სტუდენტის დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებული (გარდა საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ეტაპისა) შესრულება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული წესი იყო ზოგადი ინსტრუქცია, სილაბუსში კი დამატებით აკონკრეტული წინაპირობებს. შესაბამისად, მისი აზრით, სილაბუსსა და ინსტრუქციას შორის არანაირ წინააღმდეგობას არ ჰქონდა ადგილი. საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, თუ რა იგულისხმა დაწესებულებამ პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესის მე-9 მუხლში მოცემულ სიტყვა - „სავალდებულო“-ში. მისი მოსაზრებით, გამორჩენილი იყო არსებითი სახელი - კურსები და ამიტომ იყო რეგულაცია დამაბნეველი.

1.15 პუნქტის 3 ხარვეზის არსი მდგომარეობდა შემდეგში, რომ პროფესიული პრაქტიკის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესში და ორივე პრაქტიკის სილაბუსში შეფასებებში მითითებული იყო მხოლოდ მინიმალური და მაქსიმალური ქულები, მაგალითად: შუალედური შეფასებები - მაქსიმუმ 60 ქულა, მათ შორის 40 ქულა აქტიურობაში (კრიტერიუმები: ავლენს ქომუნიკაციას - 5 ქულა, ვერ ავლენს კომუნიკაციას - 0 ქულა; სრულად აკეთებს გუნდური მუშაობის უნარის დემონსტრირებას - 5 ქულა, ვერ ავლენს ამ უნარს - 0 ქულა და ა.შ.) და 20 ქულა პრაქტიკის დღიურის წარმოებაში (კრიტერიუმები: დღიურში მოცემულია პრაქტიკის პერიოდში სტუდენტის ყოველდღიური საქმიანობა - 5 ქულა, მისი არ არსებობის შემთხვევაში - 0 ქულა და ა.შ.); დასკვნითი გამოცდის 40 ქულაში მოიაზრებოდა პრაქტიკის ანგარიშის შეფასების 20 ქულა, რომელშიც ასევე მითითებული იყო მხოლოდ მაქსიმალური ქულები, მაგალითად: გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს - 5 ქულა, დასკვნები და რეკომენდაციები - 5 ქულა და სხვა. სათანადო ინფორმაციის არ არსებობის გამო არ დგინდებოდა, თუ როგორ მოხდებოდა შემაჯამებელი არამაქსიმალური შეფასების მისადაგება მოქმედ შეფასების სისტემასთან და მათი ფორმირება, მათ შორის მინიმალური დადებითი შეფასების (51 ქულა), რომელიც საკმარისია კრედიტის მისაღებად, და ორი უარყოფითი - ვერ ჩააბარა (41-50 ქულა) და - ჩაიჭრა (0-40 ქულა).

1.15 პუნქტის 4 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზი იყო ტექნიკური ხასიათის, ვინაიდან შპს ინტერბიზნესის აკადემია იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, სიტყვა - პროფესიული მუქმიკურად იყო ჩარჩენილი პრაქტიკის დოკუმენტაციაში.

1.16 პუნქტის 1 შენიშვნასთან დაკავშირებით ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ შენიშვნა მდგომარეობდა შემდეგში - დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის თანახმად, შუალედურ შეფასებებში (60 ქულა) მოიაზრებოდა ნაშრომის ხელმძღვანელის (30 ქულა) და რეცენზენტის (30 ქულა) შეფასებები. ორივე შემთხვევაში



მითითებული იყო ამ შეფასებების კომპონენტების მხოლოდ მაქსიმალური ქულები. ამავე დროს მითითებული იყო, რომ ნაშრომის დაცვაზე დაიშვებოდა სტუდენტი შუალედური შეფასებებით 11 ქულის დაგროვების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენდა ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებების საშუალო არითმეტიკულ ქულას. მხოლოდ მაქსიმალური ქულების მითითების გამო, ვერ დგინდებოდა, თუ როგორ შეძლებდა სტუდენტი ამ 11 ქულის მიღებას, როგორ მოხდებოდა შემაჯამებელი არამაქსიმალური შეფასების ფორმირება და მისი მისადაგება მოქმედ შეფასების სისტემასთან. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შუალედური და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულების კრიტერიუმები ჩამოილი იყო, როგორც სილაბუსში, ასევე საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვის და შეფასების წესში.

1.16 პუნქტის 2 შენიშვნასთან დაკავშირებით ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ორივე საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სილაბუსში მითითებული შედეგები არ შეესაბამებოდა უმაღლესი განათლების I საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს, კერძოდ: ცოდნა და გაცნობიერება - შეუძლია სფეროს ლიტერატურაში არასაკმარისად გაშუქებული პრობლემის დასმა, ახალი წყაროების და ფაქტების გამოვლენა, გააჩნია არსებული პრობლემის ახლებური გაშუქების უნარი, დაუფლა კვლევის/ექსპერიმენტის მეთოდებს და სხვა. კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად კი უნდა იყოს - „სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას”; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია საბაკალავრო თემის არჩევა, ნაშრომის გეგმის შედგენა და სისტემური დალაგება, შეგროვილი მასალის ანალიზი, კვლევის მეთოდების არჩევა და სხვა. კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად კი უნდა იყოს - „სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად”; დასკვნის უნარი - შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების ტრანსფორმაცია მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის ახალი გზების შემუშავება და სხვა. კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად კი უნდა იყოს - „სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება”; ღირებულებები - შეუძლია კონკრეტული ამოცანის დასახვა და დაგეგმილ დროში შესრულება, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე მის მიერ შესრულებული სამუშაოს გამო. კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად კი უნდა იყოს - „ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.”

1.5 საბჭოს წევრის ლელა ქელბაქიანის მოსაზრებით, შენიშვნის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ დაწესებულების მიერ გაწერილი სწავლის შედეგები აღემატებოდა ბაკალავრიატისთვის კანონმდებლობით დადგენილ სწავლის შედეგებსა და უნარებს. დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ შპს ინტერბიზნესის აკადემიას კვალიფიკაციის ჩარჩოდან უცვლელად, ერთი-ერთზე გადმოეტანა სწავლის შედეგები? ლელა ქელბაქიანმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ამის ვალდებულება, თუმცა მათ მიერ გაწერილი სწავლის შედეგები აშკარად სცილდებოდა ბაკალავრიატის საფეხურისთვის დადგენილ სწავლის შედეგებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიაში ისწავლებოდა ისეთი საგნები, მაგალითად - შესავალი ოპერაციულ კვლევებში, ბიბლიოგრაფიული და კვლევითი უნარები,



კვლევის მეთოდები, რომლებიც უვითარებდნენ სტუდენტს იმ სწავლის შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული იყო საგანმანათლებლო პროგრამით. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ სტუდენტები დიდი დოზით შეისწავლიდნენ კვლევით კომპონენტებს. საბჭოს წევრმა ლელა ქელბაჯიანმა დაზუსტების მიზნით კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენ საფეხურიანი იყო ისრაელის სახლმწიფოში უმაღლესი განათლება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფოში არსებობდა უმაღლესი განათლების 3 საფეხური. ლელა ქელბაჯიანის მოსაზრებით, ვინაიდან პროგრამა ხორციელდებოდა საქართველოში, შესაბამისი უნდა ყოფილიყო იმ მოთხოვნებთან, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. ლელა ქელბაჯიანის განმარტებით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განისაზღვრება შესაბამის საფეხურზე მისაწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე. დაწესებულების მიერ ბაკალავრიატის საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები აშკარად აჭარბებდა ბაკალავრიატისთვის დადგენილ დონეს და კვლევის ხარისხით თითქმის უთანაბრდებოდა დოქტორანტურის საფეხურის შედეგებს. ლელა ქელბაჯიანის მოსაზრებით, ან დაწესებულებას ჰქონდა გადაჭარბებული შეხედულებები თავის შესაძლებლობებზე, ან პრობლემა იყო დანარჩენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლების ბაკალავრიატის საფეხურზე ასწავლიდნენ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისად.

1.15 პუნქტის 4 შენიშვნის მსგავსად, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით,

1.17 შენიშვნაც იყო ტექნიკური ხასიათის. ლელა ქელბაჯინი დაინტერესდა სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა დაკავშირებული რეგულაციები ერთ აქტში იყო გაწერილი თუ არა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეგულაციები ერთი აქტით იყო განსაზღვრული.

1.18 შენიშვნასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დებულებაში, შრომის შინაგანაწესში და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში არსებობდა განსხვავებული ინფორმაცია დისციპლინარული დევნის განხორციელების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, კერძოდ: დებულებაში და შინაგანაწესში მითითებულია, რომ დისციპლინარული დევნა შეიძლება გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, ხოლო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აღნიშნული საფუძვლისთვის სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება საერთოდ არ არის გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა მოცემულ მოსაზრებას და განმარტა, რომ დისციპლინარული დევნა იყო სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი, თუმცა რომელი კონკრეტული ქცევის მიმართ გამოიყენებოდა, ეს არ იყო განსაზღვრული. ლელა ქელბაჯიანმა აღნიშნა, რომ რიგ დოკუმენტებში (დებულება, შინაგანაწესი) დაწესებულებას დადგენილი აქვს, რომ დისციპლინარული დევნას შესაძლოა მოჰყვეს სტუდენტის სტატუსის შეჩერება, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლში, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები, დისციპლინარული დევნა არ არის მითითებული.

1.19 შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა ლელა ქელბაჯიანმა განმარტა, რომ თუკი შინაგანაწესში არ არის მითითითებული დისციპლინარული დევნის დროს სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის გამომწვევი ქმედებები, მაშინ დაწესებულება ამ საფუძვლით რა შემთხვევებში შეუჩერებდა ან შეუწყვეტდა სტუდენტს სტატუსს. მისი მოსაზრებით შინაგანაწესში უნდა ყოფილიყო ჩამოთვლილი ის კონკრეტული დისციპლინარული გადაცდომები, რომლებიც გამოიწვევდნენ სტუდენტისთვის სტატუსის



შეჩერებას ან შეწყვეტას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დისციპლინარული გადაცდომის დროს სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის პასუხისმგებლობის ზომებს არ გამოიყენებდნენ. დავით კიკალეიშვილის მოსაზრებით, როდესაც დაწესებულება თავისივე დოკუმენტებში განსაზროვრავდა, რომ იყენებს პასუხისმგებლობის რომელიმე ზომას, მაშინ დეტალურად უნდა განსაზღვროს კიდეც აღნიშნული ზომების გამოყენების საფუძვლები.

1.20 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში მოცემული იყო თუ რა მატერიალური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სტუდენტს კონკრეტული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში. დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ გარკვეული დარღვევებისთვის გათვალისწინებული იყო მატერიალური პასუხისმგებლობის ზომები. შესაბამისად, აღნიშნული შენიშვნა საბჭოს არ გაითვალისწინა.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს დებულების თანახმად უფლება ჰქონდათ ესარგებლათ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებებით. შესაბამისად, სტუდენტებს უფლება ჰქონდათ შეექმნათ სტუდენტური თვითმმართველობა. საბჭოს წევრი დავით კიკალეიშვილმა აღნიშნა, რომ შპს ინტერბიზნესის აკადემიას განსაზღვრული უნდა ჰქონოდა თვითმმართველობის შექმნის მექანიზმი და საქმიანობის პრინციპები. ის ფაქტი, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აძლევდა სტუდენტებს ესარგებლათ თვითმმართველობის უფლებით, არ გამორიცხავდა დაწესებულების ვალდებულებას შიდა დოკუმენტაციაში ჩაედო აღნიშნული უფლებით სარგებლობის გარანტია. საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, იყო თუ არა განსაზღვრული რამდენი სტუდენტი შეიძლებოდა ყოფილიყო აკადემიურ საბჭოს შემადგენლობაში. შპს ინტერბიზნესის აკადემიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი რეგულაცია დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით ლელა ქელბაქიანმა განმარტა, რომ ფართს, რომელსაც არ ჰქონდა ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, საბჭო სასწავლო ფართში ვერ ჩაუთვლიდა დაწესებულებას.

2.3 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტებმა ნახეს შემოსული და გასული დოკუმენტაციის, ბრძანებების აღრიცხვის შურნალები და ყველა მათგანი იყო დანომრილი და ზონარგაყრილი. შესაბამისად, დაწესებულებაში საქმისწარმოების წესი სრულად იყო დაცული. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მას ეჭვი არ შეუტანია დაწესებულების მხრიდან დოკუმენტაციის დადგენილი წესით აღრიცხვიანობაში, უზრალოდ ერთ-ერთ ჟურნალი სათანადო დონეზე არ იყო დამუშავებული. დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და დანორმილი აკადემიური საბჭოს ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი.

3.1 პუნქტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ცენტრის წერილი, რომლის მიხედვითაც ავტორიზაციის მიზნებისთვის ერთი სრული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს, მხოლოდ ორ სასწავლო უნივერსიტეტს, ან მხოლოდ ორ კოლეჯს, ან სასწავლო უნივერსიტეტსა და კოლეჯს, პროფესორის არჩევით; ხოლო ასოცირებული პროფესორი ეთვლება მხოლოდ ორ დაწესებულებას პროფესორის არჩევით. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს წევრების



მოსაზრებით, აღნიშნულ შემთხვევაში არანაირი პრობლემა არ იყო და ორივე პერსონალი ავტორიზაციის მიზნებისთვის ჩაეთვლებოდა დაწესებულებას.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 01:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 02:05 საათზე.

თავმჯდომარებ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უძლელესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 02:07 საათზე.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
ანა ბახტურიძე

მდივანი
დავით კიკალეიშვილი